



მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

დანართები:

დანართი 4. საქართველოში მეთევზეობის დარგის განვითარების
სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი

Empowering
the Change

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

(დანართი 4)

მდგრადი მეთევზეობის განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევის პროექტის ინიციატორია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პროექტის მხარდამჭერი და დამფინანსებელია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Sida) პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ გრანტის ფარგლებში. პროექტი განახორციელა კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითიმ“ (ACT).

პროექტის მენეჯერი: ნესტან გაფრინდაშვილი

მოწვეული ექსპერტები: ნინო ჩოხანიანი, ანა რუხაძე

იანვარი, 2025

შინაარსი

მეთევზეობის როლი საქართველოს ეკონომიკაში	7
თევზის მოხმარების ტენდენციები საქართველოში	20
თევზჭერის დარგთან დაკავშირებული ფისკალური შემოსავლები	21
სახელმწიფო მხარდაჭერის სქემები თევზჭერის მიმართულებით.....	29
თევზჭერა შავ ზღვაში.....	30
თევზჭერა შიდა წყლებზე.....	38
შავ ზღვასა და შიდა წყლებში მეთევზეობის საქმიანობაში სალიცენზიო პირობების დარღვევები.....	40
უკანონო თევზჭერის აღრიცხვა და კონტროლი	44
ბიომრავალფეროვნება და თევზის სახეობების დაცვის სტატუსი	52
უცხო ინვაზიური სახეობების გავრცელება	56
სურსათის უვნებლობა და ვეტერინარიის საკითხები მეთევზეობის სექტორში	58
გამოყენებული წყაროები.....	60

გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების ჩამონათვალი

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1. "სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის" სექტორი საქართველოს მშპ-ში, 2016-2023	7
გრაფიკი 2. "სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის" სექტორი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (FDI) საქართველოში, 2016-2023	8
გრაფიკი 3. თევზჭერისა და აკვაკულტურის სფეროში ეკონომიკის მთლიანი გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება (მიმდინარე ფასებში), 2010-2022	8
გრაფიკი 4. ექსპორტისა და იმპორტის ღირებულება სასაქონლო კატეგორიისთვის "თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები", 2007-2023	15
გრაფიკი 5. თევზის პროდუქტების საშუალო საცალო საბაზრო ფასები საქართველოში, სამომხმარებლო კალათის მიხედვით, 2006-2023	16
გრაფიკი 6. თევზის ფასები საქართველოში თევზის სახეობების მიხედვით (ფასი აკვაკულტურის ფერმის კართან), 2017-2023	16
გრაფიკი 7. თევზის წარმოება (ტონა) თევზის სახეობების მიხედვით საქართველოს აკვაკულტურაში, 2017-2023	17
გრაფიკი 8. თევზის წარმოება (ტონა) რეგიონების მიხედვით საქართველოს აკვაკულტურაში, 2017-2023	18
გრაფიკი 9. საქართველოში აკვაკულტურის მეურნეობების მიერ აკვაკულტურისათვის გაწეული მიმდინარე ხარჯების განაწილება (%), 2019-2023	19
გრაფიკი 10. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის (სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტები) შემოსულობები: „მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის“ (2005-2024)	25
გრაფიკი 11. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის (სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტები) შემოსულობები: „მოსაკრებელი ცხოველთა სამყაროს რესურსებით სარგებლობისათვის“ (2005-2024)	25
გრაფიკი 12. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შემოსავლები (2017-2025)	27
გრაფიკი 13. თევზჭერის ლიცენზიანტების მიერ დაქირავებული ან მათ მფლობელობაში არსებული სეინერების რაოდენობა, 2017-2024	32
გრაფიკი 14. საქართველოში შავი ზღვის თევზჭერაში დადგენილი კვოტის ათვისების მაჩვენებელი (%) თევზის სახეობების მიხედვით, 2006-2018	34
გრაფიკი 15. შავ ზღვაში კვოტის ათვისების მაჩვენებელი (%) ლიცენზიანტების მიხედვით, 2013-2023	35
გრაფიკი 16. თევზის სახეობების განაწილება საქართველოს შიდა წყლების ლიცენზიანტებისთვის დადგენილი კვოტების მიხედვით, 2020-2024	39
გრაფიკი 17. უკანონო თევზჭერა საქართველოში (გზდ-ის მიერ გამოვლენილი), 2013-2023	44
გრაფიკი 18. უკანონო თევზჭერის შემთხვევები საქართველოში (დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ გამოვლენილი), 2010-2023	45
გრაფიკი 19. უკანონო თევზჭერის შემთხვევების რაოდენობა საქართველოში რეგიონების მიხედვით (გზდ-ის მიერ გამოვლენილი), 2013-2024	47

გრაფიკი 20. უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობა (კგ) საქართველოში რეგიონების მიხედვით (გზდ-ის მიერ გამოვლენილი), 2013-2024	49
გრაფიკი 21. უკანონო თევზჭერის შემთხვევები საქართველოში დარღვევის სახის მიხედვით (გზდ-ის მიერ გამოვლენილი), 2013-2024	52
გრაფიკი 22. შავი ზღვის დაბინძურების შემთხვევები საქართველოში, 2006-2023	52
გრაფიკი 23. "საფრთხის წინაშე მყოფი" სახეობების განაწილება ძირითად ტაქსონომიურ ჯგუფში	53
გრაფიკი 24. თევზში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევის შედეგები, 2019-2023	58

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. მეთევზეობის პირველადი წარმოებისა და გადამუშავების მიმართულებით ბიზნეს-სექტორის ძირითადი მონაცემები, 2006-2022	9
ცხრილი 2. ბიზნეს-რეგისტრის ძირითადი მონაცემები მეთევზეობის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და გაყიდვების სექტორებში საქართველოში, 2012-2023	10
ცხრილი 3. საწარმოთა გადარჩენის მაჩვენებელი (%) საქართველოში 10-წლიან პერიოდში, 2022 წლის შეფასება	11
ცხრილი 4. საგარეო ვაჭრობა (იმპორტი, ექსპორტი, ადგილობრივი ექსპორტი) (ათასი აშშ დოლარი) მეთევზეობის სექტორში საქართველოში, 2015 & 2023	13
ცხრილი 5. თევზის წარმოება (ტონა) საქართველოს აკვაკულტურაში, 2017-2023	18
ცხრილი 6. საქართველოს აკვაკულტურის მეურნეობებში გამოყენებული თევზის საკვები (ტონა), 2017-2023	19
ცხრილი 7. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის (სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტები) შემოსულობები: „მოსაკრებელი თევზჭერის ლიცენზირებიდან“ (2005-2024)	22
ცხრილი 8. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის (სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტები) შემოსულობები: „მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის“ (2005-2024)	24
ცხრილი 9. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შემოსავლები (2017-2025)	26
ცხრილი 10. მეთევზეობისა და თევზჭერის დარგთან დაკავშირებული საგადასახადო შემოსავლები (ლარი) ბიუჯეტში (2019-2023)	27
ცხრილი 11. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტების სტატისტიკა, 2014-2024	29
ცხრილი 12. ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტების სტატისტიკა, 2013-2024	30
ცხრილი 13. საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიანტები, 2024	30
ცხრილი 14. საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის განმახორციელებელი ლიცენზიანტებისა და შესაბამისი სუბიექტების რაოდენობა, 2006-2023	31
ცხრილი 15. თურქული სეინერების მიერ განხორციელებული თევზის ჭერა საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში, 2017-2023	32

ცხრილი 16. საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის კვოტა (ტონა) და მოპოვებული რესურსი / ჭერილები (ტონა) თევზის სახეობების მიხედვით, 2018-2023.....	33
ცხრილი 17. საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის კვოტა, თევზის ჭერა და თანჭერილი, 2006-2023	36
ცხრილი 18. საქართველოში შავ ზღვაში თანჭერილი თევზი (კგ) სახეობების მიხედვით, 2017-2023	37
ცხრილი 19. შავ ზღვაში მოპოვებული თევზის რესურსი და თანჭერილი საქართველოში მოპოვებული სუბიექტების მიხედვით, 2017-2023.....	38
ცხრილი 20. საქართველოს შიდა წყლებში თევზჭერის ლიცენზიანტები	38
ცხრილი 21. საქართველოს შიდა წყლებში თევზჭერის დამტკიცებული კვოტები თევზის სახეობების მიხედვით, 2020-2024	40
ცხრილი 22. შავი ზღვის ლიცენზიანტების სამართალდარღვევები (2019-2023).....	41
ცხრილი 23. შავი ზღვის ლიცენზიანტების სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობა (2019-2023)	42
ცხრილი 24. შიდა წყლის ლიცენზიანტების სამართალდარღვევები (2019-2023)	43
ცხრილი 25. შიდა წყლის ლიცენზიანტების სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობა (2019-2023)	43
ცხრილი 26. საქართველოში უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობა და შესაბამისი თევზის სახეობები (გზდ-ის მიერ გამოვლენილი), 2020-2024	49
ცხრილი 27. თევზის დაავადებების კვლევის შედეგები, 2019-2023	59
ცხრილი 28. თევზის საწარმოების ინსპექტირების შედეგები, 2019-2023.....	59

დიაგრამების ჩამონათვალი


დიაგრამა 1. თევზზე გადაანგარიშებული თევზისა და თევზის პროდუქტების მოხმარება საქართველოში და მინიმალურ ნორმამდე მისი სხვაობა (პროცენტული წილი ერთ სულ მოსახლეზე).	20
დიაგრამა 2. თევზზე გადაანგარიშებული თევზის პროდუქტების მოხმარების ხანგრძლივი დროითი მწკრივი (კგ/ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში)	21

დანართი 4. საქართველოში მეთევზეობის დარგის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი

მეთევზეობის როლი საქართველოს ეკონომიკაში

„საქსტატის“ მონაცემებით („საქსტატი“, 2016-2023), „სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის“ სექტორის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში შედარებით სტაბილურად გამოიხატებოდა 2016-2019 წლებში, თუმცა, 2020 წლის შემდეგ ამ სექტორის წილი ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 9.5%-დან 6.9%-მდე შემცირდა (გრაფიკი 1).

„სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის“ სექტორი საქართველოს მშპ-ში, 2016-2023




გრაფიკი 1. „სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის“ სექტორი საქართველოს მშპ-ში, 2016-2023

წყარო: „საქსტატი“

გარდა ამისა, ამ სექტორს ახასიათებს საკმაოდ ცვალებადი ტენდენცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) კუთხით. როგორც მონაცემები აჩვენებს („საქსტატი“, 2016-2023), წარმოდგენილ 8-წლიან პერიოდში, სამჯერ აღმოჩნდა „სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის“ FDI უარყოფითი, მათ შორის, 2023 წელსაც (გრაფიკი 2). გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქ მხოლოდ თევზჭერის სექტორი არ არის მოცული. „საქსტატის“ აღნიშნული კლასიფიკაციით, სოფლის მეურნეობა, ტყის მეურნეობა და თევზჭერა გაერთიანებულად არის

წარმოდგენილი უშუალოდ ამ ინდიკატორებში და ეს საშუალებას არ იძლევა, დაკვირვება მოხდეს უშუალოდ თევზჭერის დარგის მშპ-სა და FDI-ზე.


"სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის" სექტორი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (FDI) საქართველოში, 2016-2023



გრაფიკი 2. "სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის" სექტორი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (FDI) საქართველოში, 2016-2023

წყარო: "საქსტატი"

თევზჭერისა და აკვაკულტურის სფეროში ეკონომიკის მთლიანი გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება (მიმდინარე ფასებში), 2010-2022



გრაფიკი 3. თევზჭერისა და აკვაკულტურის სფეროში ეკონომიკის მთლიანი გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება (მიმდინარე ფასებში), 2010-2022

წყარო: "საქსტატი"

თევზჭერისა და აკვაკულტურის სფეროში ეკონომიკის მთლიანი გამოშვების, შუალედური მოხმარების და დამატებული ღირებულების (მიმდინარე ფასებში) შესახებ ("საქსტატი", 2024)¹ მონაცემები დარგის ეკონომიკური განვითარების საკმაოდ დადებით პერსპექტივებს აჩვენებს (გრაფიკი 3). მხოლოდ სამწლიან პერიოდში (2019-2022), ეკონომიკის მთლიანი გამოშვება დარგში გაიზარდა ორჯერ, ასევე, სექტორის მნიშვნელოვანი (70%-ზე მეტი) ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით. აქვე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ დარგში წარმოებული პროდუქციის საშუალოდ 60% ყოვეწლიურად არის საბოლოო პროდუქტის სახით მიწოდებული (დამატებული ღირებულება), ხოლო დანარჩენი 40% შუალედური მოხმარების ნედლეულს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ უშუალოდ ბიზნეს-სექტორის განვითარების ტენდენციებს თევზჭერის დარგში. როგორც მონაცემები აჩვენებს ("საქსტატი", 2024), მეთევზეობის პირველადი წარმოებისა და გადამამუშავების მიმართულებით ბიზნეს-სექტორის განვითარება დადებითი ტენდენციებით ხასიათდება (ცხრილი 1). განსხვავებით ზემოხსენებული მშპ-ისა და FDI-ის მონაცემებისა (სადაც თევზჭერასთან ერთად სატყეო და სოფლის მეურნეობაც არის მოცული და ამიტომ, ბუნებრივია, ზუსტ სურათს უშუალოდ თევზჭერის დარგზე არ აჩვენებს ეს მონაცემები), ცალკე ბიზნეს-სექტორისთვის ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე ჩანს დარგის განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებლები. თევზჭერა და აკვაკულტურა საშუალოდ 26%-ით იზრდებოდა 2014-2022 წლებში გაყიდვების მიმართულებით (ბიზნეს-სექტორის ბრუნვა), ასევე ინვესტიციებით (ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში). სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ამავე პერიოდში საშუალოდ 6-7%-ით გაიზარდა და მათი საშუალო ანაზღაურება საშუალოდ 13%-ით იზრდებოდა. თითქმის ანალოგიური სიტუაცია ფიქსირდება „თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამამუშავებისა და დაკონსერვების“ სექტორშიც.

ცხრილი 1. მეთევზეობის პირველადი წარმოებისა და გადამამუშავების მიმართულებით ბიზნეს-სექტორის ძირითადი მონაცემები, 2006-2022
წყარო: "საქსტატი"

მეთევზეობის პირველადი წარმოებისა და გადამამუშავების მიმართულებით ბიზნეს-სექტორის ძირითადი მონაცემები, 2006-2022					
თევზჭერა და აკვაკულტურა (NACE Rev.2 კოდი 03)					
	ბრუნვა, ათასი ლარი	ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, ათასი ლარი	დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა, კაცი	დაქირავებულ პირთა საშუალო წლიური რაოდენობა, კაცი	შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი
2006	1 156	439	224	199	94
2013	17 389	1 152	455	394	587
2022	85 242	52 269	720	666	1 315

¹ მთლიანი დამატებული ღირებულება წარმოადგენს წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას (ეკონომიკის მთლიანი გამოშვება) და შუალედურ მოხმარებას შორის სხვაობას. (აგტორის შენიშვნა).

საშუალოწლიური ზრდის ტემპი, 2014-2022	26%	80%	6%	7%	13%
თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამამუშავება და დაკონსერვება (NACE Rev.2 კოდი 10.2)					
	ბრუნვა, ათასი ლარი	ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, ათასი ლარი	დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა, კაცი	დაქირავებულ პირთა საშუალო წლიური რაოდენობა, კაცი	შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი
2006	1 526	2 375	77	69	113
2013	40 731	6 292	236	231	705
2022	80 625	15 658	487	471	1 291
საშუალოწლიური ზრდის ტემპი, 2014-2022	15%	50%	9%	9%	8%

2023 წლისთვის საქართველოში რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა თევზჭერისა და აკვაკულტურის მიმართულებით შეადგენდა 460-ს, აქედან მოქმედი სუბიექტების რაოდენობა იყო 171 (ცხრილი 2) ("საქსტატი", 2024)². დამატებით, „თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამამუშავებისა და დაკონსერვების“ სექტორში ფიქსირდება 171 რეგისტრირებული და 43 მოქმედი ბიზნეს-სუბიექტი. გარდა ამისა, საკმაოდ მაღალია მოქმედი ბიზნეს-სუბიექტების რაოდენობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით საბითუმო (164) და საცალო ვაჭრობის (109) მიმართულებით ქვეყანაში.

ცხრილი 2. ბიზნეს-რეგისტრის ძირითადი მონაცემები მეთევზეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებისა და გაყიდვების სექტორებში საქართველოში, 2012-2023
წყარო: „საქსტატი“

ბიზნეს-რეგისტრის ძირითადი მონაცემები მეთევზეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებისა და გაყიდვების სექტორებში საქართველოში, 2012-2023							
კოდი (Nace Rev.2)	დასახელება (Nace Rev.2)	2023			2012-2023		
		საქართველოში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა	საქართველოში მოქმედი ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა	საქართველოში ახლადრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა	საქართველოში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობის საშუალო	საქართველოში მოქმედი ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობის საშუალო ზრდის ტემპი (%)	საქართველოში ახლადრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობის საშუალო

² აქ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ როგორც დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს ინტერვიუებში (იხ. დანართი 1), თევზჭერის დარგში ბევრი ბიზნეს-სუბიექტი არ რეგისტრირდება „საქსტატის“ შესაბამის ბაზაში და ამიტომ, რეალური სუბიექტების რაოდენობა, მოსალოდნელია, რომ უფრო მეტიც არის. (ავტორის შენიშვნა).

				რაოდენობა	ზრდის ტემპი (%)		ყოველწლიური რაოდენობა
A 03	თევზჭერა და აკვაკულტურა	460	171	5	4%	6%	17
A 03.1	თევზჭერა	172	66	0	4%	6%	7
A 03.11	საზღვაო თევზჭერა	79	30	0	3%	2%	2
A 03.12	თევზჭერა მტკნარ წყლებში	93	36	0	5%	15%	4
A 03.2	აკვაკულტურა	288	105	5	4%	5%	11
A 03.21	საზღვაო აკვაკულტურა	37	4	1	1%	4%	0
A 03.22	მტკნარი წყლების აკვაკულტურა	251	101	4	5%	6%	11
C 10.2	თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამამუშავება და დაკონსერვება	171	43	0	6%	4%	8
G 46.38.1	საბითუმო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით	376	164	3	11%	8%	24
G 47.23	საგალო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით სპეციალიზებული მაღაზიებში	287	109	6	6%	5%	15

გრძელვადიანი პერიოდის (2012-2023) მონაცემები (ცხრილი 2) აჩვენებს, რომ რეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობა საშუალოდ 4%-ით იზრდებოდა ამ პერიოდში და ყოველ წელს საშუალოდ 17 ახალი საწარმო ემატებოდა თევზჭერისა და აკვაკულტურის მიმართულებას. თუმცა, აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, თუ როგორია აღნიშნული ბიზნესების გადარჩენის მაჩვენებელი (ცხრილი 3) ("საქსტატი", 2012-2023)³. საწარმოს დაარსების საწყის წლებში, ბიზნესის უმეტესობა ახორციელებს საქმიანობას, თუმცა, დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ მათგან შესაძლოა მხოლოდ 30% ან უფრო ნაკლები „გადარჩეს“ და გააგრძელოს ეკონომიკური აქტიურობა.

ცხრილი 3. საწარმოთა გადარჩენის მაჩვენებელი (%) საქართველოში 10-წლიან პერიოდში, 2022 წლის შეფასება
წყარო: "საქსტატი"

საწარმოთა გადარჩენის მაჩვენებელი (%) საქართველოში 10-წლიან პერიოდში, 2022 წლის შეფასება											
		გადარჩენის მაჩვენებელი (%)									
		1 წელი	2 წელი	3 წელი	4 წელი	5 წელი	6 წელი	7 წელი	8 წელი	9 წელი	10 წელი
2012	სულ, ყველა სექტორში	71.7	53.2	42.3	34.1	27.1	22.9	18.9	16.4	14.3	9.6

³ "საქსტატის" განმარტებით, საწარმოს გადარჩენა ეწოდება ისეთ ბიზნეს დემოგრაფიულ მოვლენას, რომლის დროსაც საწარმო ინარჩუნებს ეკონომიკურ აქტიურობას როგორც თავისი დაბადების, ასევე მომდევნო წელს/წლებში. (ავტორის შენიშვნა).

	თევზჭერა და აკვაკულტურა	76.5	58.8	47.1	29.4	17.6	11.8	11.8	11.8	11.8	11.8
2013	სულ, ყველა სექტორში	70.2	50.2	38.2	29.4	24.3	20.0	17.2	14.9	10.3	
	თევზჭერა და აკვაკულტურა	59.1	45.5	27.3	27.3	22.7	22.7	22.7	18.2	13.6	
2014	სულ, ყველა სექტორში	71.7	51.8	39.0	31.4	25.6	21.7	18.8	13.1		
	თევზჭერა და აკვაკულტურა	60.0	33.3	33.3	26.7	26.7	26.7	26.7	26.7		
2015	სულ, ყველა სექტორში	77.5	59.4	47.8	39.8	34.5	29.8	20.5			
	თევზჭერა და აკვაკულტურა	85.0	65.0	55.0	55.0	45.0	40.0	35.0			
2016	სულ, ყველა სექტორში	68.0	48.1	36.8	30.0	25.0	18.1				
	თევზჭერა და აკვაკულტურა	60.0	50.0	40.0	40.0	40.0	35.0				
2017	სულ, ყველა სექტორში	70.4	50.1	39.1	31.7	22.9					
	თევზჭერა და აკვაკულტურა	80.0	40.0	40.0	30.0	30.0					
2018	სულ, ყველა სექტორში	70.1	51.5	40.8	28.9						
	თევზჭერა და აკვაკულტურა	65.0	35.0	35.0	30.0						
2019	სულ, ყველა სექტორში	71.7	52.7	38.4							
	თევზჭერა და აკვაკულტურა	81.8	54.5	36.4							
2020	სულ, ყველა სექტორში	74.4	49.2								
	თევზჭერა და აკვაკულტურა	66.7	55.6								
2021	სულ, ყველა სექტორში	69.0									
	თევზჭერა და აკვაკულტურა	71.4									

თევზჭერის დარგის ეკონომიკურ პოტენციალს გარკვეულწილად ასახავს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებიც ("საქსტატი", 2015-2023). განხილულ 8-წლიან პერიოდზე (2015-2023) დაკვირვებით ჩანს (ცხრილი 4), რომ მნიშვნელოვნად გაზრდილია იმპორტის მაჩვენებლები თევზისა და თევზის პროდუქციის შემდეგ კატეგორიებში: (ა) თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები და (ბ) თევზის მზა საკვები პროდუქტები. ეს აისახება საცალო ბაზრებზეც - დღესდღეობით საქართველოს სასურსათო ბაზარზე, ადგილობრივად წარმოებული თევზის წილი მნიშვნელოვნად დაბალია და ბაზარზე ძირითადად, იმპორტირებული თევზის ნაწარმია წარმოდგენილი (ბიზნეს-მედია, 2023). იმპორტირებული თევზი, ადგილობრივთან შედარებით, საკმაოდ კონკურენტუნარიანი და მრავალფეროვანია, რაც მას მყიდველისთვის მეტად მიმზიდველს ხდის. რაც შეეხება თევზის ცხიმისა და თევზის ფქვილის შემთხვევებს, ამ მიმართულებით ქვეყანა წმინდა ექსპორტიორია⁴. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2023 წელს, 2015 წელთან შედარებით, 9%-

⁴ საქართველოში შავი ზღვის თევზჭერის ლიცენზიანტების ძირითად საქმიანობას შავ ზღვაში მოპოვებული ქაფშიასგან წარმოებული თევზის ცხიმისა და თევზის ფქვილის ექსპორტი შეადგენს. (ავტორის შენიშვნა).

ით შემცირდა საქართველოდან ექსპორტის მაჩვენებელი კატეგორიაში „თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები“. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამ კატეგორიაში ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის⁵ გარეშე) თითქმის განახევრდა (2015 წელს 7435 ათასი აშშ დოლარიდან 3999 ათას აშშ დოლარამდე 2023 წელს).

ცხრილი 4. საგარეო ვაჭრობა (იმპორტი, ექსპორტი, ადგილობრივი ექსპორტი) (ათასი აშშ დოლარი) მეთევზეობის სექტორში საქართველოში, 2015 & 2023
წყარო: „საქსტატი“

საგარეო ვაჭრობა (იმპორტი, ექსპორტი, ადგილობრივი ექსპორტი) (ათასი აშშ დოლარი) მეთევზეობის სექტორში საქართველოში, 2015 & 2023 (კოდები მოცემულია საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს.ესნ) (2017) შესაბამისად)						
	2015			2023		
	იმპორტი	ექსპორტი	ადგილობრივი ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	ადგილობრივი ექსპორტი
სულ, საგარეო ვაჭრობა ყველა სექტორში	7 304 153	2 204 183	1 602 479	15 591 724	6 090 611	2 791 496
თევზი და თევზის პროდუქცია:	40 270	24 607	23 417	69 854	40 460	36 456
ა) თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები (შესაბამისი სეს.ესნ კოდების მიხედვით)	34 284	8 523	7 435	55 769	7 756	3 999
0301. ცოცხალი თევზი	897	-		251	200	
0302. თევზი ახალი ან გაცივებული	2 818	4 134	4 134	9 693	2 317	1 965
0303. თევზი გაყინული	27 094	3 830	3 301	34 563	2 916	2 034
0304. თევზის ფილე და თევზის ხორცი	2 273	412		4 976	67	
0305. თევზი ხმელი; ცივად ან ცხლად შემლილი	633	74		2 010	15	
0306. კიბოსნაირნი	441	1		3 262	898	
0307. მოლუსკები	127	72		1 011	1 343	
0308. წყლის სხვა უხერხემლოები	1	-		2	-	
ბ) თევზის შხა საკვები პროდუქტები (შესაბამისი სეს.ესნ კოდების მიხედვით)	5 846	102		14 066	247	
1604. შხა ან დაკონსერვებული თევზი; ზუთხის ხიზილალა	5 647	102		13 255	247	
1605. შხა ან დაკონსერვებული კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები	199	-		811	-	
გ) თევზის ცხიმი (შესაბამისი სეს.ესნ კოდების მიხედვით)	121	5 280	5 280	6	15 711	15 711


⁵ რეექსპორტი გულისხმობს სასაქონლო ოპერაციას, როდესაც ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი გატანილია ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის გარეთ. (ავტორის შენიშვნა).

1504. ცხიმები, ქონები და მათი ფრაქციები, თევზისა ან ზღვის მულუშწივების	121	5 280	5 280	6	15 711	15 711
დ) თევზის ფქვილი (შესაბამისი სეს ესნ კოდების მიხედვით)	19	10 703	10 703	13	16 746	16 746
2301. ფქვილი თევზის ან კიბოსნაირებისაგან, მოლუსკებისა ან წყლის სხვა უხერხემლოებისაგან	19	10 703	10 703	13	16 746	16 746
გემები, ნაგები და შესაბამისი მოწყობილობები:	2 552	1	-	20 456	2 064	-
ა) გემები, ნაგები და მცურავი კონსტრუქციები (შესაბამისი სეს ესნ კოდების მიხედვით)	1 699	-	-	18 013	1 942	-
8901. საკრუიზო, საექსპლუატაციო გემები, ბორნები, სატვირთო გემები	363	-	-	-	-	-
8902. თევზსაჭერი გემები	509	-	-	-	-	-
8903. იატაკები; ნიშნები ნაგები და კანოე	515	-	-	3 584	1 941	-
8904. ბუქსირები და გემები-მიმწოდებლები	-	-	-	1 753	-	-
8905. მოცურავე შუქურები, სახანძრო გემები, მიწის ჭურვები, მოცურავე ამწეები და სხვა მოცურავე საშუალებები	262	-	-	160	-	-
8906. გემები დანარჩენი	-	-	-	-	-	-
8907. მოცურავე კონსტრუქციები დანარჩენი	50	-	-	12 516	1	-
8908. გემები და სხვა მოცურავე კონსტრუქციები, დასაწვავად განკუთვნილი	-	-	-	-	-	-
ბ) ანკესები და სხვა სათევზაო საშუალებები (შესაბამისი სეს ესნ კოდების მიხედვით)	390	0	-	1 074	102	-
9507. სათევზაო ანკესები, ნემსკავები და სათევზაო აღჭურვილობა	390	0	-	1 074	102	-
გ) თევზსაჭერი ბადეები (შესაბამისი სეს ესნ კოდების მიხედვით)	462	0	-	1 369	21	-
5608. მზა თევზსაჭერი ბადეები	462	0	-	1 369	21	-

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა საქართველოდან შავი ზღვის თევზის იმპორტი ნებადართულად დაუშვა 2017 წელს (European Union, 2017), ხოლო მიმდინარე 2024 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა ევროკომისიის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ევროკავშირმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ გაცემული თევზჭერის სერტიფიკატები. შედეგად, ქართველი მეწარმეებისთვის შესაძლებელი ხდება, განახორციელონ შავ ზღვაში დაჭერილი ზღვის თევზისა და თევზჭერის პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2024). რაც შეეხება ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას აკვაპულტურაში წარმოებული თევზის შემთხვევაში, ჯერ კიდევ დასაკმაყოფილებელია რიგი მოთხოვნები სხვადასხვა მიმართულებით (თევზის ჩასმის მიკვლევადობა, სიმჭიდროვე, მედიკამენტების სწორი გამოყენება, საკვების მიწოდების სწორი მეთოდოლოგია და ა.შ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში წარმოებული აკვაპულტურის ნაწარმისთვის ჯერ კიდევ არ არის გახსნილი ევროპის ბაზარი (ბიზნეს-მედია, 2024). გარდა ამისა, ჯერჯერობით ევროპის

ბაზარზე ექსპორტი შეფერხებულია საქართველოს თევზის გადამამუშავებელ საწარმოებში წარმოებული თევზის პროდუქტისთვისაც ევროპული ბაზრის შესაბამისი სერტიფიკატების არარსებობის გამო (ბიზნეს-მედია, 2024).


ზემოთ **ცხრილი 4**-ზე ასევე წარმოდგენილია საქართველოს საგარეო ვაჭრობის მონაცემები გემების, ნაგებისა და შესაბამისი მოწყობილობებისთვის. 2023 წელს, 2015 წელთან შედარებით, აღნიშნული პროდუქტების კატეგორიაში ფიქსირდება დრამატული, თითქმის 10-ჯერადი ზრდა იმპორტის მიმართულებით (ეს დრამატული ზრდა, შესაძლოა, აღნიშნული პროდუქციის ფასების ზრდასაც უკავშირდებოდეს და ამავე დროს, ამ პერიოდში შავი ზღვის თევზჭერის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის ფარგლებში გემების შეძენის შემთხვევების მატებასაც). როგორც მონაცემები ცხადყოფს (**ცხრილი 4**), ამ კატეგორიაში პროდუქციის იმპორტმა 2023 წელს 20456 ათას აშშ დოლარს მიაღწია. ეს ზრდა ასახულია როგორც გემების, ნაგებისა და მცურავი კონსტრუქციების იმპორტისთვის, ასევე ანკესების ბადეებისა და სხვა სათევზაო საშუალებებისთვის. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ გემების, ნაგებისა და შესაბამისი მოწყობილობების კატეგორიაში საქართველოს ექსპორტი სრულად 100%-ით რეექსპორტს უკავშირდება, რასაც ასახავს ადგილობრივი ექსპორტის ნულოვანი მაჩვენებელი.



გრაფიკი 4. ექსპორტისა და იმპორტის ღირებულება სასაქონლო კატეგორიისთვის "თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები", 2007-2023
წყარო: "საქსტატი"


საქართველოდან თევზის პროდუქციის (იგულისხმება კატეგორია „თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები“) ექსპორტის კლების ერთ-ერთი მიზეზი, დიდი ალბათობით, არის ისიც, რომ ამ კატეგორიაში ექსპორტის ერთეულის ღირებულება (\$/კგ) მნიშვნელოვან ზრდას აჩვენებს ("საქსტატი", 2024) (**გრაფიკი 4**). გაზრდილია იმპორტის ღირებულებაც ერთეულზე (1.4\$-დან 2006 წელს 1.8\$-მდე 2015 წელს 3.0\$-მდე 2023 წელს), თუმცა, ზრდის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ექსპორტის შემთხვევაში (0.1\$-დან 2006 წელს 0.7\$-მდე 2015 წელს 4.8\$-მდე 2023 წელს).

თევზის სხვადასხვა სახის პროდუქტის საშუალო საცალო საბაზრო ფასებიც დრამატულ ზრდას აჩვენებს 2006-2023 წლებში საქართველოში ("საქსტატი", 2024) (გრაფიკი 5).



გრაფიკი 5. თევზის პროდუქტების საშუალო საცალო საბაზრო ფასები საქართველოში, სამომხმარებლო კალათის მიხედვით, 2006-2023
წყარო: "საქსტატი"


მნიშვნელოვანია, ცალკე გაანალიზდეს უშუალოდ აკვაკულტურის მიმართულების ეკონომიკური მაჩვენებლები ქვეყანაში. 2017-2023 წლების ტენდენციაზე დაკვირვებით, აკვაკულტურის მეურნეობაში წარმოებული თევზის შემთხვევაშიც ფიქსირდება ფასების ზრდა (გრაფიკი 6) 2022 წლამდე, თუმცა, შედარებით ნაკლებად, ვიდრე საცალო ფასების შემთხვევაში (რომელიც, თავის მხრივ, ძირითადად, იმპორტირებულ პროდუქციას მოიცავს). ამასთან, მონაცემები აჩვენებს, რომ 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, აკვაკულტურაში წარმოებული თევზის ფასები თითქმის ყველა სახეობის თევზისთვის შემცირდა.



გრაფიკი 6. თევზის ფასები საქართველოში თევზის სახეობების მიხედვით (ფასი აკვაკულტურის ფერმის კართან), 2017-2023
წყარო: "საქსტატი"

საქართველოში აკვაკულტურის განვითარების მაღალ პოტენციალს ხედავენ დარგის ექსპერტები (ბიზნესპარტნიორი, 2023), ასევე უშუალოდ დარგში მოღვაწე კომპანიების წარმომადგენლებიც (ბიზნესპარტნიორი, 2021), საჯარო სექტორი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2023). ამასთან, აკვაკულტურის დარგში მნიშვნელოვანი გამოწვევებიც არსებობს საქართველოში და კერძო სექტორისა და ბიზნეს-ასოციაციების წარმომადგენლები ხშირად ასახელებენ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა, მაგალითად, დაბალი ხარისხის ქვირითი, დაბალი მწარმოებლურობა, ძვირადღირებული თევზის საკვები (ბიზნეს-მედია, 2023), დაავადებების გავრცელება და თევზის დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის დიაგნოსტიკის პრობლემები, ასევე იხტიოპათოლოგიის არარსებობა ქვეყანაში (ბიზნეს-მედია, 2022), კვლევითი ლაბორატორიების სიმწირე (ბიზნეს-მედია, 2023), წარმოებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები (ბიზნეს-მედია, 2023). ამასთან, იკვეთება მარიკულტურის განვითარების ტენდენციებიც საქართველოში. 2023 წელს საზღვაო აკვაკულტურის ფერმების მოსაწყობად, აჭარის, სამეგრელოს და გურიის სანაპირო ზოლში 8 ლოკაცია გამოიყო (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2023). კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აპრილის N639 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს საზღვაო წყლებში აკვაკულტურისათვის გამოყოფილი ზონები, სადაც 3 წარმომადგენს თევზის ზონას, ხოლო 5 - მოლუსკის ზონას (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2023). მოსალოდნელია, რომ მარიკულტურის განვითარება ხმელეთზე აკვაკულტურის განვითარებასაც შეუწყობს ხელს (ბიზნეს-მედია, 2023).

აკვაკულტურის წარმოება ქვეყანაში დაახლოებით 3 ათას ტონამდე აღწევს, თუმცა, მისი მაჩვენებელი მცირედი მერყეობით ხასიათდებოდა 2017-2023 წლებში ("საქსტატი", 2017-2023) (გრაფიკი 7).




გრაფიკი 7. თევზის წარმოება (ტონა) თევზის სახეობების მიხედვით საქართველოს აკვაკულტურაში, 2017-2023
წყარო: "საქსტატი"

საქართველოს აკვაკულტურაში, ძირითადად, ორაგულისებრნი (ძირითადად, „ცისარტყელა კალმახის“) და კობრისებრნი სახეობის თევზები იწარმოება (ცხრილი 5).

ცხრილი 5. თევზის წარმოება (ტონა) საქართველოს აკვაკულტურაში, 2017-2023 წყარო: „საქსტატი“

თევზის წარმოება (ტონა) საქართველოს აკვაკულტურაში, 2017-2023							
	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
თევზი, სულ	2 041.7	2 381.1	2 464.7	2 071.5	2 861.1	2 791.7	2 469.5
მათ შორის:							
ორაგულისებრნი	1 164.8	1 475.5	1 339.8	1 155.2	1 446.7	1 347.4	1 131.7
აქედან:							
ცისარტყელა კალმახი	1 145.0	1 463.2	1 322.3	1 133.1	1 426.0	1 316.7	1 131.6
კობრისებრნი	786.3	817.1	1 012.7	838.4	1 264.8	1 233.4	1 042.1
აქედან:							
კობრი და სარკისებური კობრი	328.1	362.6	479.6	359.5	555.4	572.4	466.5
თეთრი ამური	117.8	118.2	135.0	114.0	174.2	232.9	195.9
თეთრი და ჭრელი სქელშუბლა	336.0	331.7	395.9	360.2	513.6	410.7	369.9
ზუთბისებრნი	76.3	75.0	97.3	60.1	120.8	178.9	232.0
ლოქოსებრნი	14.0	12.6	14.3	17.5	28.4	31.6	62.5
სხვა	0.4	0.9	0.6	0.5	0.4	0.3	1.3


ქვეყანაში აკვაკულტურის წარმოების უდიდესი წილი (80%-მდე) კახეთისა და შიდა ქართლის წარმოებას უკავია (გრაფიკი 8).



გრაფიკი 8. თევზის წარმოება (ტონა) რეგიონების მიხედვით საქართველოს აკვაკულტურაში, 2017-2023 წყარო: „საქსტატი“

მნიშვნელოვანია, რომ 2023 წელს, 2019 წელთან შედარებით, აკვაკულტურის მეურნეობების მიერ აკვაკულტურისათვის გაწეულ მიმდინარე ხარჯებში⁶ შემცირდა თევზის საკვებზე გაწეული ხარჯის წილი 60%-დან 43%-მდე (**Error! Reference source not found.**). ამის პარალელურად, გაიზარდა, ლიფსიტების შესაძენად გაწეული ხარჯის წილი (13%-დან 16%-მდე) და სხვა მიმდინარე ხარჯების წილიც⁷ (4%-დან 8%-მდე).

აკვაკულტურის მეურნეობების მიერ აკვაკულტურისათვის გაწეული მიმდინარე ხარჯების განაწილება (%) საქართველოში, 2019-2023



გრაფიკი 9. საქართველოში აკვაკულტურის მეურნეობების მიერ აკვაკულტურისათვის გაწეული მიმდინარე ხარჯების განაწილება (%), 2019-2023
წყარო: “საქსტატი”

საქართველოს აკვაკულტურის მეურნეობებში გამოყენებული თევზის საკვებში მცირდება კომბინირებული საკვების⁸ გამოყენების რაოდენობა და იზრდება მარცვლოვანი კულტურების გამოყენება (**ცხრილი 6**),

ცხრილი 6. საქართველოს აკვაკულტურის მეურნეობებში გამოყენებული თევზის საკვები (ტონა), 2017-2023
წყარო: “საქსტატი”

⁶ “საქსტატის” ინფორმაციით, აღნიშნულ მიმდინარე ხარჯებში არ შედის კაპიტალური ხარჯები, როგორებიცაა წყალსატევის შეძენა, გარემონტება თუ ფორმირება, ტექნიკის შეძენა, წყლით სარგებლობის ლიცენზიის აღება და ა.შ. (ავტორის შენიშვნა).

⁷ “საქსტატის” ინფორმაციით, „სხვა მიმდინარე ხარჯები“ მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: წყლის მიმდინარე გადასახადი, ტექნიკის დაქირავება, ლაბორატორიული და იქთიოპათოლოგიის მომსახურება და ა.შ. (ავტორის შენიშვნა).


⁸ “საქსტატის” ინფორმაციით, კომბინირებულ საკვებში იგულისხმება ბურღულის, გრანულის ან ფანტელის სახის, ქარხნული წესით დამზადებული საკვები (თევზისათვის), რომლის შემადგენლობა და ფორმა განისაზღვრება საკვების მიმღები თევზის სახეობითა და ასაკით. (ავტორის შენიშვნა).

საქართველოს აკაკულტურის მეურნეობებში გამოყენებული თევზის საკვები (ტონა), 2017-2023							
	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
კომბინირებული საკვები	1 986.0	2 346.7	1 968.3	2 002.1	2 097.9	1 854.0	2 144.3
მარცვლოვანი კულტურები	2 130.7	2 081.7	1 765.2	1 531.6	2 159.9	2 723.7	2 194.2

თევზის მოხმარების ტენდენციები საქართველოში

თევზი და ზღვის პროდუქტები დასახელდა მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ცხოველურ სახის საკვებად, თევზი გახდა პრიორიტეტით პირველი არჩევანი 56-ზე მეტი ქვეყანის მოსახლეობაში (Remonté, 2023). საშუალოდ წლიურად მოსახლეობის ერთ სულზე თევზის პროდუქტების მოხმარებით მსოფლიოს რეიტინგის სათავეში არიან ისლანდია (90.6 კგ), მალდივები (83.1 კგ), მაკაო (73.2 კგ), ქირიბათი (73.2 კგ), ჰონგ-კონგი (65.8 კგ), პორტუგალია (60 კგ) (Rao & Wallach, 2023). საქართველოს შემთხვევაში, თევზის პროდუქტების წლიური მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე 10.64 კგ-ს შეადგენს (Food and Agriculture Organization of the United Nations, 2023); ათწლეულების განმავლობაში საქართველოსთვის ეს მაჩვენებელი დიდად არ იცვლება და 8-10 კგ-ის ფარგლებში მერყეობს. თევზზე საქართველოში მოთხოვნა გაიზარდა განსაკუთრებით 2022 წელს და ეს მატება ქვეყანაში მიგრანტების გაზრდილ რაოდენობას დაუკავშირდა (ბიზნეს-მედია, 2023).


საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2003 წელს დამტკიცებული მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, თევზის პროდუქტების მოხმარების მინიმალური ნორმა წელიწადში 15 კილოგრამია, რაც არსებითად დაბალია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 23-კილოგრამიან ნორმატივზე. 2009-2017 წლებში საქართველოში თევზის ფაქტობრივი მოხმარება მინიმალური ნორმის 30 პროცენტზე ნაკლები იყო (დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. თევზზე გადაანგარიშებული თევზისა და თევზის პროდუქტების მოხმარება საქართველოში და მინიმალურ ნორმამდე მისი სხვაობა (პროცენტული წილი ერთ სულ მოსახლეზე).

წყარო: საქართველოს თევზის ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები - ეკონომიკურ სტატისტიკური ანალიზი. სს „საპარტნიორო ფონდი“ 2017წ.; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაცია.

საქართველოში თევზის მოხმარების დაბალი დონე იყო 90-იან წლებში. 1994-1995 წლებში ეს მაჩვენებელი წელიწადში სულ რაღაც 0.4-0.6 კილოგრამი იყო მოსახლეობის ერთ სულზე, რაც კატასტროფულად დაბალი დონეა და დიეტის უაღრესად არაჯანსაღი კომპოზიციის უტყუარი მაჩვენებელია. ასევე, ძალიან დაბალი იყო თევზის მოხმარება 1996-2001-იან წლებშიც – წელიწადში საშუალოდ 2 კილოგრამზე ნაკლები მოსახლეობის ერთ სულზე (დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. თევზზე გადანაწილებული თევზის პროდუქტების მოხმარების ხანგრძლივი დროითი მწკრივი (კგ/ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში)

წყარო: საქართველოს თევზის ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები - ეკონომიკურ სტატისტიკური ანალიზი. სს „საპარტნიორო ფონდი“ 2017წ.; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2009-2017 წლების მაჩვენებლების ახალი და ძველი გაანგარიშებები უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც ბოლო წლების მაჩვენებლებში განსხვავებული კლასიფიკატორის გამოყენებით არის გამოწვეული. არის პროდუქტები, რომლებიც ძველი კლასიფიკაციით ვერ აღირიცხებოდა, ახალი კლასიფიკაციით კი აღირიცხება. აგრეთვე არის პროდუქტები, რომლებიც განსხვავებულად აღირიცხება.

თევზისა და თევზის პროდუქტების მოხმარების დაბალი დონე გარკვეულწილად საქართველოში ჩამოყალიბებული კვების კულტურის და ქართული სამზარეულოს სპეციფიკით არის განპირობებული. თუმცა, ეს მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზია. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსისა და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობით არის განპირობებული.

თევზჭერის დარგთან დაკავშირებული ფისკალური შემოსავლები

თევზჭერისა და აკვაკულტურის დარგებთან დაკავშირებული ფისკალური შემოსავლების ანალიზისთვის უნდა განვიხილოთ სამი ძირითადი კანონი, რომლებიც შესაბამისი მოსაკრებლების სახეს განსაზღვრავს:

- [საქართველოს კანონი სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ](#) (2003) ადგენს თევზჭერის ლიცენზიის მოსაკრებლის და აკვაკულტურის ნებართვის

განაკვეთს (აღნიშნული მოსაკრებლების გადახდა წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავალს). 2007 წლის შემდეგ დღემდე სალიცენზიო მოსაკრებლის განაკვეთი თევზჭერის ლიცენზიისთვის არ შეცვლილა და დადგენილია 200 ლარის ოდენობით. აკვაკულტურის შესახებ კანონის მიღების შემდეგ, 2020 წელს დამატებით დადგინდა სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთი აკვაკულტურის საქმიანობისთვის ასევე 200 ლარის ოდენობით, რაც დღესაც მოქმედებს (ამოქმედდა 2024 წლის 1-ელი იანვრიდან). კანონის მიხედვით, სანებართვო მოსაკრებლის გადახდისგან თავისუფლდება ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის გაცემა.

სახაზინო სამსახურის ინფორმაციის მიხედვით (სახელმწიფო ხაზინა, 2005-2024), „თევზჭერის ლიცენზირებიდან“ მიღებული შემოსავლები წარმოადგენილია **ცხრილი 7-ში**.

ცხრილი 7. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის (სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულის⁹ ბიუჯეტები) შემოსულობები: „მოსაკრებელი თევზჭერის ლიცენზირებიდან“ (2005-2024)
წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები (ლარი): მოსაკრებელი თევზჭერის ლიცენზირებიდან			
	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტი	სულ
2005	-	-	-
2006	-	-	-
2007	3 808.00	-	3 808.00
2008	2 507.43	-	2 507.43
2009	1 932.00	-	1 932.00
2010	8 046.80	-	8 046.80
2011	-	-	-
2012	1 226.00	-	1 226.00
2013	72 173.00	-	72 173.00
2014	10.00	-	10.00
2015	-	-	-
2016	361.00	-	361.00
2017	-	-	-
2018	-	-	-
2019	-	-	-
2020	200.00	-	200.00
2021	670.00	-	670.00
2022	500.00	-	500.00
2023	4 729.50	-	4 729.50
2024	2 029.35	-	2 029.35

⁹ ტერმინი „ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტი“ მოყვანილია „სახელმწიფო ხაზინის“ ანგარიშებიდან „საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები (კონსოლიდაციის გარეშე)“ (<https://treasury.ge/ka/revenues>) და გულისხმობს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს.

- ii. [საქართველოს კანონი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ](#) (2004) ადგენს შესაბამისი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელსა და ცხოველთა სამყაროს ობიექტთა (მათ შორის, თევზებით) სარგებლობისთვის მოსაკრებელს (აღნიშნული მოსაკრებლების გადახდა წარმოადგენს ტერიტორიული ერთეულების¹⁰ ბიუჯეტების შემოსავალს). აღსანიშნავია, რომ ამ კანონის მიღებიდან 13 წლის შემდეგ, 2017 წელს, შევიდა ცვლილებები კანონში¹¹, რის შედეგადაც გაიზარდა მოსაკრებლის მოცულობა როგორც შავი ზღვის, ასევე შიდა წყალსატევების თევზის უმეტეს სახეობებზე. დაახლოებით ორჯერ გაიზარდა მოსაკრებელი შავი ზღვის სარეწაო თევზების ზოგიერთ სახეობაზე (მაგალითად, სტავრიდა, ხონთქარა, პელამიდა), ზოგიერთ სახეობაზე კი (მაგალითად, რაპანა) - პირიქით, ორჯერ შემცირდა განაკვეთი. საინტერესოა ის, რომ შავი ზღვის სარეწაო თევზის ყველაზე პოპულარულ სახეობაზე (ქაფშია) მოსაკრებელი არ შეცვლილა 20 წლის განმავლობაში (კანონის მიღების წლიდან (2004) მიმდინარე პერიოდამდე - 2024 წლამდე) და მისი მოცულობა 1 ტონაზე კვლავ 25 ლარის დონეზე განისაზღვრება. გარდა ამისა, მეთევზეობის საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ მოსაკრებლების მეორე სახეობაც, რომელსაც ზემოაღნიშნული კანონი ადგენს - ეს არის მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის. განხილული 20 წლის განმავლობაში ამ შემთხვევაშიც არ შეცვლილა მოსაკრებლების ოდენობა: კასპიის ზღვის აუზის მდინარეების, ტბებისა და სხვა წყალსატევების შემთხვევაში (I ჯგუფი) მოსაკრებელი დადგენილია ერთ კუბურ მეტრზე 0.01 ლარის ოდენობით, შავი ზღვის აუზის მდინარეების, ტბებისა და სხვა წყალსატევების შემთხვევაში (II ჯგუფი) - 0.005 ლარის ოდენობით, ხოლო შავი ზღვის წყლის შემთხვევაში (III ჯგუფი) - 0.003 ლარის ოდენობით. აკვაკულტურის შესახებ კანონის მიღების შემდეგ, 2020 წელს წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ოდენობა დამატებით განისაზღვრა ახალი კატეგორიისთვის - აკვაკულტურის კონსტრუქციაში გამოყენებული ბუნებრივი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის (აკვაკულტურის კონსტრუქციის 183 -ზე - 0.8 ლარით, ტბორისთვის - 0.005 ლარით, საზღვაო წყლისთვის - 0.1 ლარით), რომელიც მოქმედებს დღესაც (ამოქმედდა 2024 წლის 1-ელი იანვრიდან).

სახაზინო სამსახურის ინფორმაციის მიხედვით (სახელმწიფო ხაზინა, 2005-2024), შემოსავლები, რომლებიც მიღებულია კომპონენტიდან „მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის“ წარმოდგენილია **ცხრილი 8**-ში. „სახაზინო სამსახურისა“ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, 2024) და „შემოსავლების სამსახურიდან“ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური, 2024) „ეისითისთვის“ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული შემოსავლების კატეგორიზაცია ცალკე თევზჭერისა და აკვაკულტურის სექტორიდან მიღებული მოსაკრებლების მიხედვით ამ ორგანიზაციების მიერ არ ხდება.

¹⁰ ტერმინი „ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტი“ მოყვანილია „სახელმწიფო ხაზინის“ ანგარიშებიდან „საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები (კონსოლიდაციის გარეშე)“ (<https://treasury.ge/ka/revenues>) და გულისხმობს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს.


¹¹ საქართველოს კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (20/09/2017).
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3803743?publication=0>

ცხრილი 8. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის (სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტები) შემოსულობები: „მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის“ (2005-2024)

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა


საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები (ლარი): მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის			
	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტი	სულ
2005	-	12 626 701.92	12 626 701.92
2006	-	32 090 780.80	32 090 780.80
2007	-	21 459 923.25	21 459 923.25
2008	-	22 549 885.86	22 549 885.86
2009	-	20 062 457.38	20 062 457.38
2010	-	24 070 161.54	24 070 161.54
2011	-	28 474 407.54	28 474 407.54
2012	-	29 326 560.24	29 326 560.24
2013	665.67	26 005 615.10	26 006 280.77
2014	15 079.06	32 932 290.00	32 947 369.06
2015	15 937.58	45 455 879.65	45 471 817.23
2016	53 215.47	44 410 062.59	44 463 278.06
2017	10 063.98	53 936 798.04	53 946 862.02
2018	2 236.12	55 779 130.77	55 781 366.89
2019	6 963.59	58 561 801.05	58 568 764.64
2020	1 586.22	63 551 995.26	63 553 581.48
2021	5 003.71	70 486 105.41	70 491 109.12
2022	2 350.29	56 996 807.78	56 999 158.07
2023	14 223.02	49 337 188.40	49 351 411.42
2024	2 213.02	64 800 818.38	64 803 031.40

შემოსავლების კატეგორია „მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის“ მოიცავს, მათ შორის, „მოსაკრებელს წყლის რესურსებით სარგებლობისათვის“ (გრაფიკი 10) და „მოსაკრებელს ცხოველთა სამყაროს რესურსებით სარგებლობისათვის“ (გრაფიკი 11). „სახაზინო სამსახურისა“ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, 2024) და „შემოსავლების სამსახურიდან“ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური, 2024) „ეისითისთვის“ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული შემოსავლების კატეგორიზაცია ცალკე თევზჭერისა და აკვაკულტურის სექტორიდან მიღებული მოსაკრებლების მიხედვით ამ ორგანიზაციების მიერ არ ხდება.



გრაფიკი 10. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის (სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტები) შემოსულობები: „მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის“ (2005-2024)

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა



გრაფიკი 11. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის (სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტები) შემოსულობები: „მოსაკრებელი ცხოველთა სამყაროს რესურსებით სარგებლობისათვის“ (2005-2024)

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა

iii. [საქართველოს კანონი რეგულირების საფასურის შესახებ](#) (2005) ადგენს, რომ კანონი მიზნად ისახავს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებისა და რეგულირების განმახორციელებელი სსიპ-ების ფინანსური დამოუკიდებლობის და მათ მიერ რეგულირების საჯარო ფუნქციის შესრულების უზრუნველყოფას. შესაბამისად, ამ კანონის საფუძველზე გადახდილი რეგულირების საფასური წარმოადგენს შესაბამისი უწყების დაფინანსების ერთ-ერთ წყაროს. თევზჭერისა და აკვაკულტურის შემთხვევაში ეს უწყება არის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. აღნიშნულ კანონში 2017 წელს განხორციელებული ცვლილების შემდეგ¹², რეგულირების საფასურის გადამხდელი გახდა შვს ზღვაში თევზჭერის ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობა. 2020 წელს აკვაკულტურის შესახებ კანონის მიღების შემდეგ კი, ცვლილება განხორციელდა ზემოაღნიშნულ კანონშიც¹³ და რეგულირების საფასურის გადამხდელს დაემატა აკვაკულტურის ნებართვისადმი დაქვემდებარებულ აკვაკულტურის საქმიანობა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო მონაცემების მიხედვით (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2017-2025), სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შემოსავლები წარმოდგენილია ცხრილი 9-ში.

ცხრილი 9. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შემოსავლები (2017-2025)

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შემოსავლები (ათასი ლარი)			
	ცენტრალური ბიუჯეტი, მათ შორის:	(ა) სახელმწიფო ბიუჯეტი	(ბ) კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები
2017	13 435.7	258.5	13 177.2
2018	9 832.5	210.4	9 622.2
2019	9 877.1	2 939.0	6 938.1
2020	12 575.0	4 171.9	8 403.1
2021	26 546.2	15 886.7	10 659.4
2022	22 144.5	11 708.5	10 435.9
2023	27 992.0	12 611.0	15 381.0
2024 (9 თვე)	14 640.2	7 246.4	7 393.7
2025 (გეგმა)	35 568.0	33 600.0	2 168.0


ცხრილი 9-ში წარმოდგენილი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ცენტრალური ბიუჯეტის მაჩვენებლებიდან „კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები“ (გრაფიკი 12) მოიცავს, მათ შორის, რეგულირების საფასურიდან მიღებულ შემოსავლებს სააგენტოსთვის.

¹² საქართველოს კანონი „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (17/05/2017).

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3677078?publication=0>

¹³ საქართველოს კანონი „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (24/06/2020).

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4900434?publication=0>



გრაფიკი 12. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შემოსავლები (2017-2025)

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

„ეისითიმ“ გამოითხოვა ინფორმაცია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საკუთარი შემოსავლებიდან იმ შემოსავლების შესახებ, რომლებიც უკავშირდება თევზჭერისა და აკვაკულტურის სექტორიდან გადახდილ რეგულირების საფასურს. სააგენტოსგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2024), რეგულირების საფასურით მიღებული შემოსავლები სააგენტოს აქვს 2013 წლიდან და ამ პერიოდის განმავლობაში (2013-2024) მისი მოცულობა საშუალოდ წლიურად 1.4 მლნ ლარის ფარგლებში იყო. ამასთან, იმავე ინფორმაციაზე დაყრდნობით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს არ აქვს ისეთი საკუთარი შემოსავლები, რომლებიც უკავშირდება უშუალოდ მეთევზეობის, თევზჭერისა და აკვაკულტურის საქმიანობებს, გარდა შავ ზღვაში თევზჭერის (ქაფშიის) მოპოვების რეგულირების საფასურისა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, თევზჭერის, როგორც ეკონომიკის დარგის და ბიზნეს-საქმიანობის წვლილი სახელმწიფოს ფინანსებში გამოიხატება რიგი საერთო-სახელმწიფოებრივი თუ ადგილობრივი გადასახადების გადახდით, რასაც შესაბამისი ეკონომიკური სუბიექტები ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ქვეყნის ეკონომიკაში თევზჭერის დარგის მნიშვნელობის მაჩვენებელია ის ფისკალური შემოსავლები, რასაც ამ სექტორის ეკონომიკური აქტივობიდან სახელმწიფო თუ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები იღებს. სსიპ შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით (სსიპ შემოსავლების სამსახური, 2024), მეთევზეობისა და თევზჭერის დარგთან (სსიპ კოდები 03, 10.20.0, 46.38.1, 47.23.0) დაკავშირებული საგადასახადო შემოსავლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება და ყველა დონის (სახელმწიფო, ავტონომიურ და მუნიციპალურ) ბიუჯეტში მისი მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2023 წელს, 2019 წელთან შედარებით (ცხრილი 10). ამასთან, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ამ დარგიდან გაზრდილია ყველა ძირითადი გადასახადების კატეგორიაში განხილულ პერიოდში.

ცხრილი 10. მეთევზეობისა და თევზჭერის დარგთან დაკავშირებული საგადასახადო შემოსავლები (ლარი) ბიუჯეტში (2019-2023)

წყარო: სსიპ „შემოსავლების სამსახური“; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

მეთევზობისა და თევზჭერის დარგთან (სვე კოდები 03, 10.20.0, 46.38.1, 47.23.0) დაკავშირებული საგადასახადო შემოსავლები (ლარი) ბიუჯეტში, 2019-2023					
	2019	2020	2021	2022	2023
აქციზის გადასახადი	22 984	37 379	40 145	70 305	190 519
დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)	13 471 966	10 481 630	11 403 265	13 411 525	15 894 994
იმპორტის გადასახადი	346 290	416 510	533 814	752 992	880 270
მოგების გადასახადი	267 941	1 645 678	3 096 946	3 551 341	3 165 637
ქონების გადასახადი (მათ შორის მიწა)	891 194	900 226	930 019	1 494 871	2 009 497
საშემოსავლო გადასახადი	2 894 788	3 322 306	3 821 452	5 678 091	7 504 007
სხვა	349 574	153 264	- 230 353	74 083	- 269 795
სულ, თევზჭერასთან დაკავშირებული საგადასახადო შემოსავლები	18 244 735	16 956 994	19 595 287	25 033 208	29 375 130
შემოსავალი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში	14 501 977	12 788 485	14 876 878	17 889 172	19 899 186
შემოსავალი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში	2 851 565	3 268 283	3 788 391	5 649 165	7 466 447
შემოსავალი მუნიციპალიტეტების მუნიციპალურ ბიუჯეტებში	891 194	900 226	930 019	1 494 871	2 009 497
სულ, თევზჭერასთან დაკავშირებული საგადასახადო შემოსავლები	18 244 735	16 956 994	19 595 287	25 033 208	29 375 130
<i>შენიშვნა: უარყოფითი მნიშვნელობა აღნიშნავს გადატანას/დაბრუნებას</i>					
<i>თევზჭერასთან დაკავშირებული საქმიანობიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესული გადასახადების წილი (%) მთლიან შესაბამის საგადასახადო შემოსავლებში</i>	<i>0.150%</i>	<i>0.137%</i>	<i>0.130%</i>	<i>0.119%</i>	<i>0.117%</i>
<i>თევზჭერასთან დაკავშირებული საქმიანობიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში შესული გადასახადების წილი (%) მთლიან შესაბამის საგადასახადო შემოსავლებში</i>	<i>0.214%</i>	<i>0.261%</i>	<i>0.243%</i>	<i>0.297%</i>	<i>0.346%</i>

თევზჭერასთან დაკავშირებული საქმიანობიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესული საგადასახადო შემოსავლების წილი (%) მთლიან შესაბამის საგადასახადო შემოსავლებში (სახელმწიფო ხაზინა, 2019-2023) საშუალოდ წლიურად 0.1%-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ტერიტორიული ერთეულების (ავტონომიური და მუნიციპალური) ბიუჯეტების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 0.3%-მდე აღწევს. მხოლოდ მუნიციპალურ საგადასახადო შემოსავლებს თუ განვიხილავთ, თევზჭერის დარგიდან მიღებული შემოსავლების უდიდეს წილს (საშუალოდ

40%-ს წლიურად) ფოთის მუნიციპალიტეტი იღებს, ხოლო დაახლოებით 33% ხობის მუნიციპალიტეტს ერგება. ამ ორი მუნიციპალიტეტის შემთხვევაში თევზჭერის დარგიდან მიღებული შემოსავლების წილი (%) მთლიან მუნიციპალურ საგადასახადო შემოსავლებში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს აღწევს, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. მაგალითად, 2023 წელს ფოთის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 4.28% იყო, ხოლო ხობის შემთხვევაში - 4.64% (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, 2023), (ხობის მუნიციპალიტეტი, 2023). სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში ეს რიცხვი 1%-მდეა.

სახელმწიფო მხარდაჭერის სქემები თევზჭერის მიმართულებით

დღესდღეობით მეთევზეობის დარგში სახელმწიფო დონეზე პროექტები ფინანსდება, ძირითადად, ორი სახელმწიფო უწყების მიერ: ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო და სსიპ „აწარმოე საქართველოში“.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზაციის მიერ პროექტების დაფინანსება ხორციელდება სამი მიმართულებით:

- i. ინდუსტრიული და უნივერსალური ინდუსტრიული კომპონენტი;
- ii. მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი;
- iii. საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამა;

ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით (სსიპ „აწარმოე საქართველოში“, 2024), 2014-2024 წლებში (2024 წლის მარტის ჩათვლით), ორგანიზაციის მიერ აღნიშნულ პერიოდში გაცემული დაფინანსება ჯამში 450 მლნ ლარს აღემატება, აქედან დაახლოებით 15 მლნ ლარი უშუალოდ თევზჭერის მიმართულების პროექტებზე გაიცა (**ცხრილი 11**).

ცხრილი 11. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტების სტატისტიკა, 2014-2024

წყარო: სსიპ „აწარმოე საქართველოში“

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტების სტატისტიკა, 2014-2024 (2024 წლის მარტის ჩათვლით)				
		გაცემული თანხა (ლარი)	პროექტების რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა
ინდუსტრიული და უნივერსალური ინდუსტრიული კომპონენტი	ყველა სექტორი	338 045 921	2 080	1 426
	მათ შორის, თევზჭერის სექტორი	14 678 844	18	13
მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი	ყველა სექტორი	115 767 404	9 349	12 521
	მათ შორის, თევზჭერის სექტორი	343 718	38	64
	ყველა სექტორი		1 050	829

საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამა	მათ შორის, თევზჭერის სექტორი		17	14
---	------------------------------------	--	----	----

რაც შეეხება ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ პროექტების დაფინანსებას, სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო, 2024), დაახლოებით იმავე პერიოდში 4-ჯერ მეტი თანხა (2 მლრდ ლარზე მეტი) გამოიყო ჯამში 300 ათასზე მეტი პროექტის დასაფინანსებლად. უშუალოდ თევზჭერის დარგის დაფინანსებამ 1385 პროექტის ფარგლებში დაახლოებით 30 მლნ ლარი შეადგინა (ცხრილი 12).

ცხრილი 12. ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტების სტატისტიკა, 2013-2024

წყარო: ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტების სტატისტიკა, 2013-2024 (2024 წლის თებერვლის ჩათვლით)			
	გაცემული თანხა (ლარი)	პროექტების რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა
ყველა სექტორი	2 001 974 353	323 796	196 351
მათ შორის, თევზჭერის სექტორი	30 992 231	1 385	1 146

აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო არის „ერთიანი აგროპროექტის“ განმახორციელებელი, რომლის ფარგლებშიც 2017 წელს შეიქმნა, მაგალითად, თევზის გადამამუშავებელი საწარმო „უმალი“. კომპანია გახდა ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი თევზის საწარმო და წლიურად დაახლოებით 150 ტონა თევზს გადამამუშავებდა (ეს საქართველოში თევზის წარმოების საშუალოდ 70%-ს შეადგენს) (ბიზნეს-მედია, 2022).

თევზჭერა შავ ზღვაში

საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერა ხორციელდება ლიცენზიანტების მიერ და იმ სუბიექტების მიერ (ცხრილი 13), რომლებიც ითვისებენ საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიანტებისათვის გამოყოფილი კვოტის 12%-ს.

ცხრილი 13. საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიანტები, 2024

წყარო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

N	საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიანტი კომპანია და თითოეულ კომპანიაზე გაცემული ლიცენზიების რაოდენობა	პროცენტული წილი საერთო კვოტიდან
1	შპს „ზღვის პროდუქტები“ (3 ლიცენზია)	22%
2	შპს „პალიასტომი-2004“ (3 ლიცენზია)	14%
3	შპს „აისბერგი 2“ (1 ლიცენზია)	20%

4	შპს „გეოფიშ კომპანი“ (1 ლიცენზია)	19%
5	შპს „მზმ“ (1 ლიცენზია)	25%

შავ ზღვაში თევზჭერის განმახორციელებელი ლიცენზიანტებისა და შესაბამისი სუბიექტების რაოდენობა მცირედ იცვლება წლების განმავლობაში (**ცხრილი 14**). ძირითადი ცვლილებები მოხდა 2006 წელს და შემდეგ 2016 წელს, რაც აისახა, შესაბამისად, შავ ზღვაში თევზჭერისთვის გაცემული ლიცენზიების რაოდენობასა და იმ სუბიექტების რაოდენობაზე, რომლებიც ითვისებენ საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიანტებისათვის გამოყოფილი კვოტის 12%-ს¹⁴.


ცხრილი 14. საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის განმახორციელებელი ლიცენზიანტებისა და შესაბამისი სუბიექტების რაოდენობა, 2006-2023

წყარო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

	შავ ზღვაში თევზჭერისთვის გაცემული ლიცენზიების რაოდენობა	შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიანტების რაოდენობა	სუბიექტების რაოდენობა, რომლებიც ითვისებენ საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიანტებისათვის გამოყოფილი კვოტის 12%-ს
2006	4	4	43
2007	4	4	43
2008	5	5	43
2009	5	5	43
2010	5	5	43
2011	5	5	43
2012	5	5	45
2013	5	5	45
2014	5	5	45
2015	5	5	45
2016	9	5	33
2017	9	5	34
2018	9	5	34
2019	9	5	34
2020	9	5	34
2021	9	5	34
2022	9	5	34
2023	9	5	34

¹⁴ 10%-ს 2016 წლამდე და 12%-ს 2016 წლის შემდეგ (ავტორის შენიშვნა).

საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიანტების მიერ დაქირავებული სეინერების რაოდენობა მერყეობს დაახლოებით 15-20-ის ფარგლებში ყოველწლიურად (გრაფიკი 13).



გრაფიკი 13. თევზჭერის ლიცენზიანტების მიერ დაქირავებული ან მათ მფლობელობაში არსებული სეინერების რაოდენობა, 2017-2024

წყარო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

თურქული გემების ჰერილები საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში მთლიანი ჰერის მოცულობის უდიდეს წილს (საშუალოდ 70%-80%-ის ფარგლებში) იკავებს და ეს მაჩვენებელი 2021-2023 წლების განმავლობაში კიდევ უფრო გაიზარდა (ცხრილი 15).

ცხრილი 15. თურქული სეინერების მიერ განხორციელებული თევზის ჰერა საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში, 2017-2023

წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

თურქული სეინერების მიერ განხორციელებული თევზის ჰერა საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში, 2017-2023						
	2017-2018	2018-2019	2019-2020	2020-2021	2021-2022	2022-2023
შავ ზღვაში მოპოვებული თევზის რაოდენობა (კგ) საქართველოში, სულ	77 005 761	35 570 131	99 521 656	75 341 850	59 416 849	55 720 029
თურქული გემების ჰერილები (კგ) საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში	50 027 829	25 091 819	74 723 150	57 316 200	48 912 944	52 646 086
თურქული გემების მიერ მოპოვებული რესურსის წილი (%) მთლიან მოპოვებულ რესურსში	65%	71%	75%	76%	82%	94%
საქართველოში თევზჭერაში ჩართული თურქული გემების რაოდენობა	18	13	17	12	16	14


შავ ზღვაში 2018-2019 წლის სეზონის შემდგომ თევზჭერის კვოტები წესდება მხოლოდ ხუთი სახეობის თევზზე (ცხრილი 16), თუმცა, აღნიშნულ 5 სახეობაზეც დადგენილი კვოტების სრული ათვისება ვერ ხდება. უფრო მეტიც, ქაფშიას გარდა, ყველა დანარჩენი სახეობის შემთხვევაში ათვისების მაჩვენებელი 6%-ს არ აღემატება ამ პერიოდში. ათვისების საერთო მაჩვენებელში, როგორც წესი, უდიდეს წილს ასრულებს ქაფშიას ათვისება.

ცხრილი 16. საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის კვოტა (ტონა) და მოპოვებული რესურსი / ჭერილები (ტონა) თევზის სახეობების მიხედვით, 2018-2023 წყარო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის კვოტა (ტონა) და მოპოვებული რესურსი / ჭერილები (ტონა) თევზის სახეობების მიხედვით, 2018-2023						
სარეწაო სეზონი	კვოტა (ტონა) მოცემულ სახეობაზე					სულ
	ქაფშია	სტავრიდა	ხონთქარა	პელამიდა	რაპანა	
2018-2019	95 000	1 500	600		500	97 600
2019-2020	135 000	1 500	600	3 000	500	140 600
2020-2021	109 000	1 060	236	3 000	500	113 796
2021-2022	85 000	838	222	3 000	500	89 560
2022-2023	85 000	649	176	3 000	500	89 325
სარეწაო სეზონი	მოპოვებული რესურსი / ჭერილები (ტონა) მოცემულ სახეობაზე					სულ
	ქაფშია	სტავრიდა	ხონთქარა	პელამიდა	რაპანა	
2018-2019	35 459	94.215	16.800		-	35 570
2019-2020	99 493	20.040	8.200	-	-	99 522
2020-2021	75 260	4.799	8.600	0.040	-	75 273
2021-2022	59 400	3.800	7.800	0.400	0.138	59 412
2022-2023	55 709	2.700	3.700	0.320	-	55 716
სარეწაო სეზონი	კვოტის ათვისების მაჩვენებელი (%) მოცემულ სახეობაზე					სულ
	ქაფშია	სტავრიდა	ხონთქარა	პელამიდა	რაპანა	
2018-2019	37%	6%	3%		0%	36%
2019-2020	74%	1%	1%	0%	0%	71%
2020-2021	69%	0%	4%	0%	0%	66%
2021-2022	70%	0%	4%	0%	0%	66%
2022-2023	66%	0%	2%	0%	0%	62%

წინა პერიოდში, 2006-2018 წლების განმავლობაში შავ ზღვაში კვოტების დადგენა ხდებოდა უფრო მეტი სახეობის თევზზე, თუმცა, კვოტის ათვისების კუთხით გამოწვევები წინა პერიოდშიც არსებობდა და ყველა სხვა სახეობის თევზთან შედარებით, ქაფშია წინა წლების პერიოდშიც თევზჭერის სახეობებს შორის რაოდენობით დიდი უპირატესობით გამოირჩეოდა (გრაფიკი 14).

საქართველოში შავი ზღვის თევზჭერაში დადგენილი კვოტის ათვისების მაჩვენებელი (%) თევზის სახეობების მიხედვით, 2006-2018




გრაფიკი 14. საქართველოში შავი ზღვის თევზჭერაში დადგენილი კვოტის ათვისების მაჩვენებელი (%) თევზის სახეობების მიხედვით, 2006-2018

წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

თუ დავაკვირდებით თევზჭერის კვოტის ათვისების მაჩვენებელს ლიცენზიანტების მიხედვით (**გრაფიკი 15**), ჩანს, რომ 10-წლიან პერიოდში (2013-2023) შპს „აისბერგი-2“ საშუალოდ უფრო მაღალი დონის (საშუალოდ 73%) ათვისებით გამოირჩეოდა, შპს „პალიასტომი 2004 კი - შედარებით დაბალი (საშუალოდ 55%) მაჩვენებლით. თუმცა, თუ მონაცემებს დავაკვირდებით 5-წლიანი პერიოდისთვის (2018-2023), ხუთივე ლიცენზიანტი საშუალოდ მსგავს შედეგს აჩვენებს (საშუალოდ 57%-ის ფარგლებში) და ამ შემთხვევაში მათ შორის დრამატული განსხვავება კვოტის ათვისების კუთხით არ იკვეთება.

შავ ზღვაში კვოტის ათვისების მაჩვენებელი (%) ლიცენზიანტების მიხედვით, 2013-2023



გრაფიკი 15. შავ ზღვაში კვოტის ათვისების მაჩვენებელი (%) ლიცენზიანტების მიხედვით, 2013-2023

წყარო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

საქართველოს საზღვაო სივრცეში ჩატარებული ძირითადი სარეწაო თევზების მარაგების შეფასების და შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების შესახებ რიგი სამეცნიერო ანგარიშები მზადდება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. 2021 და 2023 წლებში გამოქვეყნდა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიომრავალფეროვნების ანგარიშები (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2023), (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2021), რომელთა ფარგლებშიც შესწავლილი იყო ზღვის პლანქტონური (ფიტოპლანქტონი, მეზოზოოპლანქტონი) და ფსკერული თანასაზოგადოებები (მაკროფიტობენტოსი, მაკროზოოპლანქტონი), განისაზღვრა მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, სეზონური დინამიკა; სხვადასხვა ინდიკატორების გამოყენებით განხორციელდა საკვლევი აკვატორიის ეკოლოგიური სტატუს კლასის შეფასება. ასევე, 2020-2023 წლებში სააგენტომ წარმოადგინა ანგარიშები შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს სარეწაო სეზონის სამრეწველო თევზჭერის კვოტებთან დაკავშირებით (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2023), (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2022), (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2021), (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2020), რის საფუძველზეც შეფასდა და დაწესდა კვოტები სარეწაო თევზების ოთხ სახეობაზე (ქაფშია, სტავრიდა, ხონთქარა და პელამიდა) და მოლუსკების ერთ სახეობაზე (რაპანა). სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, „მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი აწარმოებს კვლევებს შავი

ზღვის საქართველოს ტერიტორიულ წყლებში თევზის მარაგის შესაფასებლად. 2020 წლიდან 2024 წლის ჩათვლით სააგენტო იყენებს მეთოდოლოგიებს თევზჭერის კვოტების დადგენისთვის, რომლებიც განსაკუთრებით ფოკუსირებულია ფსკერულ და პელაგიურ სახეობებზე, შესაბამის ლაბორატორიულ სამუშაოებზე, მათემატიკურ მოდელირებასა და ჰიდროაკუსტიკურ კვლევებზე. სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2024), მონაცემთა შეგროვება წარმოებს „ხმელთაშუა ზღვის საერთაშორისო აკუსტიკური კვლევების საერთო პროტოკოლის, MEDIAS (Anon. 2019; 2022) და „ხმელთაშუა ზღვასა და შავ ზღვაში სამეცნიერო კვლევების ჩატარების ტექნიკური სახელმძღვანელოს (Carpentieri et al., 2020წ.)“ მიხედვით და ამჟამად სააგენტოს სპეციალისტები ჩართული არიან ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) შავი ზღვის სამუშაო ჯგუფის ფორმატში (WGBS) ჰიდროაკუსტიკური კვლევის მეთოდების ჰარმონიზების პროცესში. სააგენტო სისტემატურად ახორციელებს შავი ზღვის საქართველოს საზღვაო სივრცეში ძირითადი სარეწაო თევზებისა და სხვა ბიორესურსების შეფასებას და სარეწაო პროგნოზირებას თანამედროვე მეთოდებისა და ხელსაწყო-დანადგარების გამოყენებით, მათ შორისაა სამეცნიერო ექსპლანდერი BioSonics, რომლის საშუალებით ხდება ძირითადი სარეწაო რესურსის შავი ზღვის ჯაფშიას გუნდების ჰიდროაკუსტიკური გადაღება და შემდგომ მიღებული მონაცემების დამუშავება ლიცენზირებული პროგრამა EchoView-ს გამოყენებით; ასევე ხორციელდება სამეცნიერო თევზჭერა პელაგიური და ფსკერული ტრალის გამოყენებით და მონაცემთა შეგროვება ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) რეკომენდაციების შესაბამისად“.

მიუხედავად იმისა, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო 2018 წლის შემდეგ შავ ზღვაში თევზჭერის კვოტას გამოყოფს მხოლოდ თევზის 5 სახეობაზე, თანჭერილების სტატისტიკა აჩვენებს, რომ დღესაც ხდება 10-ზე მეტი სახეობის თევზის მოპოვება შავ ზღვაში თანჭერილის სახით (ცხრილი 17), (ცხრილი 18). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 2013-2018 წლებში თითოეული ლიცენზიანტი საშუალოდ 6-7 სახეობის თევზის ჭერას ახორციელებდა, მაშინ როდესაც 2018-2023 წლებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 2-ის ფარგლებში გახდა.

ცხრილი 17. საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის კვოტა, თევზის ჭერა და თანჭერილი, 2006-2023

წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის კვოტა, თევზის ჭერა და თანჭერილი, 2006-2023						
	თევზჭერის კვოტა (ათასი ტონა) საქართველო ში შავ ზღვაში	თევზის სახეობების რაოდენობა, რაზეც გამოიყო ჭერის კვოტა საქართველო ში შავ ზღვაში	საქართველო ში შავ ზღვაში მოპოვებული თევზი (ათასი ტონა)	საქართველო ში შავ ზღვაში მოპოვებული თევზის სახეობების რაოდენობა	საქართველო ში შავ ზღვაში თევზჭერაში თანჭერილი თევზი (ტონა)	საქართველო ში შავ ზღვაში თევზჭერაში თანჭერილის სახეობების რაოდენობა
2006-2007	63.1	15	17.5	13		
2007-2008	63.9	20	26.0	14		
2008-2009	65.5	19	31.7	17		
2009-2010	64.2	8	40.0	8		

2010-2011	75.8	5	26.0	5		
2011-2012	84.4	17	11.5	14		
2012-2013	63.1	4	57.5	4		
2013-2014	88.7	17	71.7	17		
2014-2015	89.0	16	66.2	16		
2015-2016	88.8	16	59.4	16		
2016-2017	94.4	16	49.3	16		
2017-2018	89.5	7	77.0	7	4.37	9
2018-2019	97.6	4	35.6	4	8.10	16
2019-2020	140.6	5	99.5	5	8.66	13
2020-2021	113.8	5	75.3	5	9.56	12
2021-2022	89.6	5	59.4	5	8.33	10
2022-2023	89.3	5	55.7	5	9.10	11

ცხრილი 18. საქართველოში შავ ზღვაში თანჭერილი თევზი (კგ) სახეობების მიხედვით, 2017-2023

წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

საქართველოში შავ ზღვაში თანჭერილი თევზი (კგ) სახეობების მიხედვით, 2017-2023						
	2017-2018	2018-2019	2019-2020	2020-2021	2021-2022	2022-2023
მერლანგი		3 274	5 584	5 573	2 813	4 793
ბაცი ნაგვერდულა		199	1 453	1 433	1 031	680
კეფალი	618	360	10	2		
კამბალა	619	168	291	382	793	
კამბალა კალკანი						563
ქაშაყი	362	403	38	696	495	558
სმარისი	931	736	105	169	23	82
ლუფარი	1 244	1 456	778	498	1 077	497
ზღვის კატა	576	579	254	528	1 491	1 167
კატრანი			35	50		
კარჩხანა		124	11	114		
ვარსკვლავთმრიცხველი	18	385	40	106		157
ღორჯო		5				
ოკუნი		6				
ქიცვიანი ზვიგენი		97		6		
კუდხანჯალა		108			196	408
ქოთეხი(ღია)		189			394	36
ტარღანი		9				
ზღვის მელა	2		60		18	159
მედუზა			0			

ზღვის ემბაკი	1					
სულ, საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერაში თანჭერილი თევზი (კგ)	4 370	8 098	8 659	9 557	8 331	9 100

აღსანიშნავია, რომ თანჭერილის შემთხვევაში თევზის რესურსის მოპოვება მთლიანად ფიქსირდება 12%-იანი სუბიექტების მიერ (ცხრილი 19).

ცხრილი 19. შავ ზღვაში მოპოვებული თევზის რესურსი და თანჭერილი საქართველოში მომპოვებული სუბიექტების მიხედვით, 2017-2023

წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

შავ ზღვაში მოპოვებული თევზის რესურსი და თანჭერილი საქართველოში მომპოვებული სუბიექტების მიხედვით, 2017-2023						
	2017-2018	2018-2019	2019-2020	2020-2021	2021-2022	2022-2023
მოპოვებული თევზის რაოდენობა (კგ), მათ შორის:	77 005 761	35 570 131	99 521 656	75 341 850	59 416 849	55 720 029
ლიცენზიანტების მიერ მოპოვებული	70 995 336	32 990 356	94 163 270	70 071 201	55 573 680	51 785 378
კვოტის 12%-იანი სუბიექტების მიერ მოპოვებული	6 010 425	2 579 775	5 358 386	5 270 649	3 843 169	3 934 651
თანჭერილის მოცულობა (კგ), მათ შორის:	4 370	8 098	8 659	9 557	8 331	9 100
ლიცენზიანტების მიერ მოპოვებული	40	-	-	45	-	15
კვოტის 12%-იანი სუბიექტების მიერ მოპოვებული	4 330	8 098	8 659	9 512	8 331	9 085

თევზჭერა შიდა წყლებზე

ქვეყნის შიდა წყლებში თევზჭერა ხორციელდება შიდა წყლის ლიცენზიანტების მიერ (ცხრილი 20) (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2024). ლიცენზიანტების რაოდენობა შეადგენდა 3-ს 2006-2009 წლებში, გაიზარდა 8-მდე 2010 წელს და 10-მდე - 2012 წელს. შემდგომ წლებში შიდა წყლის ლიცენზიანტების რაოდენობა კვლავ 8-მდე შემცირდა და 2016 წლიდან 7-ს შეადგენს.

ცხრილი 20. საქართველოს შიდა წყლებში თევზჭერის ლიცენზიანტები

წყარო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო


N	საქართველოს შიდა წყლებში თევზჭერის ლიცენზიანტი კომპანია	წყალსატევი	თევზჭერის კვოტა (ტონა), 2023
1	შპს „ჯანდარის ტბა-2“	ჯანდარის ტბა	60
2	შპს „ჯი ეფ სი“	წალკის წყალსაცავი	12.5
3	შპს „ტბები“	ტაბაწყურის ტბა	60

4	შპს „ადორა“	სულდის ტბა	-
5	შპს „ს.ს.თ.“	ნადარბაზვეის ტბა	10
6	შ.პ.ს. „შაორის ტბა“	შაორის წყალსაცავი	35
7	შ.პ.ს. „დალის მთა“	დალის მთის წყალსაცავი	34.5
სულ			212

რაც შეეხება შიდა წყლებში თევზჭერის კვოტების დადგენას, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნულს სააგენტო არ აწარმოებს, არამედ, საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ეს კვლევები ხორციელდება შესაბამისი ლიცენზიანტების მიერ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2024), 2020-2024 წლებში შიდა წყლებში ლიცენზიანტების მიმართ გაცემული თევზჭერის კვოტები განსაზღვრული იყო თევზის ექვს ძირითად სახეობასა და მათ შესაბამის ქვე-სახეობებზე: სქელშუბლა (მათ შორის, სქელშუბლა, ჭრელი სქელშუბლა და თეთრი სქელშუბლა), ამური (მათ შორის, ამური და თეთრი ამური), კობრი, ხრამული, ჭაფალა, კიბორჩხალა (**გრაფიკი 16**). კიბორჩხალას მოპოვებაზე კვოტა მხოლოდ ტაბაწყურის ტბის ლიცენზიანტზე არის გაცემული. შედარებით მცირე ოდენობით კვოტები გაიცა თევზის ისეთ სახეობებზე, როგორებიცაა ჭანარი, ლოქო, ვიშმა და პელედი. კარჩხანაზე გაიცა 42.9 და 80 ტონის კვოტა, შესაბამისად, 2020 და 2021 წლებში. მომდევნო წლებში, ეტაპობრივად, 2021-2022 წლებიდან საქართველოში შიდა წყლების ლიცენზიანტებისთვის დადგინდა განუსაზღვრელი ოდენობით ჭერა თევზის ისეთ სახეობებზე, როგორებიცაა კარჩხანა, ქორჭილა და ქარიყლაპია.

თევზის სახეობების განაწილება საქართველოს შიდა წყლების ლიცენზიანტებისთვის დადგენილი კვოტების მიხედვით, 2020-2024



გრაფიკი 16. თევზის სახეობების განაწილება საქართველოს შიდა წყლების ლიცენზიანტებისთვის დადგენილი კვოტების მიხედვით, 2020-2024

წყარო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ადრიცხვიანობის გაუმჯობესებისთვის გასათვალისწინებელია, რომ დაზუსტებას საჭიროებს შიდა წყლებში თევზჭერის მონაცემები როგორც დადგენილი კვოტების, ასევე მოპოვებული რესურსის (ჭერილის) შესახებ შესაბამისი ლიცენზიანტებისა და თევზის სახეობების მიხედვით.

ცხრილი 21. საქართველოს შიდა წყლებში თევზჭერის დამტკიცებული კვოტები თევზის სახეობების მიხედვით, 2020-2024

წყარო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

	2020	2021	2022	2023	2024
ჭრელი სქელშუბლა	14	3	19	8	23
თეთრი სქელშუბლა	23	3	37	8	25
სქელშუბლა	-	40	25	31	1
თეთრი ამური	12	-	14	-	15
ამური	-	5	10	11	7
კობრი	8	17	26	17	27
ხრამული	6	21	10	11	14
ჭანარი	-	1	1	1	-
ლოქო	-	2	2	3	-
ჭაფალა	6	10	10	11	13
ვიმბა	-	1	2	2	2
პელედი	-	7	1	2	2
კიბორჩხალა	54	-	45	50	48
კარჩხანა	43	80	-	-	-
სულ	165	188	200	152	176

აქვე საგულისხმოა ისიც, რომ გზდ-ის მონაცემებზე დაყრდნობით (სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, 2024), 2017-2021 წლებში შიდა წყალსატევებზე ლიცენზიანტების მიერ ერთი წლის განმავლობაში ჯამურად მოპოვებული რესურსის მოცულობა საშუალოდ მხოლოდ 20-25 ტონის ფარგლებში იყო, რაც დამტკიცებულ კვოტებს (**ცხრილი 21**) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება.

შავ ზღვასა და შიდა წყლებში მეთევზეობის საქმიანობაში სალიცენზიო პირობების დარღვევები

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (გზდ) მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით (სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, 2024), 2019-2023 წლებში დაფიქსირდა სალიცენზიო პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის 39 შემთხვევა შავი ზღვის ლიცენზიანტების მიერ (**ცხრილი 22**). მათ შორის, ყველაზე მეტი შემთხვევა დაკავშირებული იყო თევზჭერის პროცესში დასაქმებულთა მიმართ პროფესიული სტანდარტების/განათლების მისაღები დონის დაკმაყოფილების მოთხოვნასთან, ასევე, აუდიტის დასკვნის წარდგენის მოთხოვნების დარღვევასთან. პირველი მათგანი უფრო ზუსტად გულისხმობს შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიანტებისთვის დაწესებულ პირობას, რომ „თევზჭერის პროცესში დასაქმებულთა არანაკლებ 30% იყოს აკრედიტებული/ავტორიზებული სასწავლო დაწესებულების მიერ დიპლომირებული ან

სერტიფიცირებული შესაბამისი პროფესიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე“. აღნიშნულის დაკმაყოფილება, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ლიცენზიანტებისთვის, ვინაიდან წლების განმავლობაში ამ მიმართულებით ყველაზე მეტი სამართალდარღვევა ვლინდება.

განათლებასა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სიტუაციის აღსაწერად საგულისხმოა, რომ განვიხილოთ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია (სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, 2024). ბათუმის და ფოთის ლოკაციებზე არსებულ პროფესიული განათლების ცენტრებში ხორციელდება მეთევზე/მეზღაურის პროფესიული სწავლების საფანჯანათლებლო პროგრამა, ასევე სხვადასხვა ხანგრძლივობის მომზადება/გადამზადების სასერტიფიკაციო კურსები (საზღვაო აკადემია არ ახორციელებს მეთევზე/მეზღაურის საგანმანათლებლო პროგრამას უმაღლესი სწავლების საფეხურზე). 2017 წლიდან 2020 წლის ჩათვლით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე "თევზსაჭერი გემის ნავიგაცია - V დონე" (წარმოადგენს უმაღლეს კვალიფიკაციას თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში და პროგრამის ხანგრძლივობაა 14 თვე) ბათუმის ლოკაციაზე პროგრამა აითვისა და კვალიფიკაცია მიენიჭა 88 კურსდამთავრებულს, ხოლო 2021 წლიდან პროგრამა ხორციელდება ფოთის ფილიალში და პროგრამა წარმატებით დაასრულა 23-მა კურსდამთავრებულმა. ამასთან, საზღვაო აკადემია 2018 წლიდან მსმენელებს სთავაზობს სხვადასხვა ხანგრძლივობის მოკლევადიან მომზადება/გადამზადების კურსებს. ჯამში ორივე ლოკაციაზე გადამზადდა 221 მსმენელი. გარდა ამისა, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ინფორმაციით (სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, 2024), პროფესიული სასწავლო პროგრამების მიმართულებით, რომლებიც დაკავშირებულია მეთევზეობის/თევზჭერის დარგის სწავლებასთან, 2019-2023 წლებში თევზსაჭერი გემის ნავიგაციის პროფესიული სასწავლო პროგრამა გაიარა 78-მა ადამიანმა. მეთევზე მეზღაურთა სამუშაო დიპლომების კვალიფიკაცია ამ წლებში შემდეგია: შკიპერი / თევზსაჭერი გემის კაპიტანი - 60; უფროსი მექანიკოსი - 11; მეორე მექანიკოსი - 16; სავახტო თანამშემწე - 36; სავახტო მექანიკოსი - 1.

გარდა აღნიშნულისა, შავი ზღვის თევზჭერის ლიცენზიანტების სალიცენზიო პირობების დარღვევებს შორის გვხვდება აუდიტის დასკვნის წარდგენის მოთხოვნების დარღვევა და მოპოვებული რესურსის გადამუშავებისას პროდუქციის წარმოების მოთხოვნების დარღვევა. ეს უკანასკნელი უკავშირდება ჩანაწერს სალიცენზიო პირობებში, რის მიხედვითაც ლიცენზიანტები ვალდებული არიან მოპოვებული რესურსის არანაკლებ 70% საბოლოო პროდუქტად გადამუშაონ საქართველოს ტერიტორიაზე და გადამუშავებისას არანაკლებ 10 %-ით აწარმოონ კომბინირებული საკვები და არანაკლებ 5%-ით აწარმოონ სასურსათო კონსერვირებული პროდუქცია.

ცხრილი 22. შავი ზღვის ლიცენზიანტების სამართალდარღვევები (2019-2023)

წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

შავი ზღვის ლიცენზიანტების სამართალდარღვევები (2019-2023)						
	2019	2020	2021	2022	2023	სულ
აუდიტის დასკვნის წარდგენის მოთხოვნების დარღვევა; თევზჭერის პროცესში დასაქმებულთა მიმართ პროფესიული სტანდარტების/განათლების მისაღები დონის მოთხოვნების დარღვევა		1	5			6

აუდიტის დასკვნის წარდგენის მოთხოვნების დარღვევა; მოპოვებული რესურსის გადამუშავებისას პროდუქციის წარმოების მოთხოვნების დარღვევა; თევზჭერის პროცესში დასაქმებულთა მიმართ პროფესიული სტანდარტების/განათლების მისაღები დონის მოთხოვნების დარღვევა		1	1	2		4
თევზჭერის პროცესში დასაქმებულთა მიმართ პროფესიული სტანდარტების/განათლების მისაღები დონის მოთხოვნების დარღვევა	4	3	8	8		23
მოპოვებული რესურსის გადამუშავებისას პროდუქციის წარმოების მოთხოვნების დარღვევა; თევზჭერის პროცესში დასაქმებულთა მიმართ პროფესიული სტანდარტების/განათლების მისაღები დონის მოთხოვნების დარღვევა				1		1
საკუთრებაში არანაკლებ ერთი თევზსაჭერი გემის ყოლის მოთხოვნის დარღვევა					3	3
სალიცენზიო პირობების დარღვევა (სხვა)	2					2
სულ	6	5	14	11	3	39

ზემოაღნიშნულ დარღვევებზე პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმა განისაზღვრა, მათ შორის, ჯარიმებიც (ცხრილი 23). დაკისრებული პასუხისმგებლობების ფორმებს შორის უმეტეს ნაწილში (28 სულ 39-დან) ნათლად არ იკვეთება პასუხისმგებლობის ზომა და სახე ან მიუთითებს ზომის შერბილებაზე („გაერთიანდა“, „სიტყვიერი შენიშვნა“ და „შეწყდა“). აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წლის შემდეგ, 2018-2023 წლებში სულ 6 ცვლილება შევიდა შავი ზღვის ლიცენზიანტების სალიცენზიო პირობებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითქმის ყოველ წელს ხდება პირობების ცვლილება, რის საფუძველზეც გადავადდება რიგი სალიცენზიო პირობებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულება.

ცხრილი 23. შავი ზღვის ლიცენზიანტების სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობა (2019-2023)

წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

შავი ზღვის ლიცენზიანტების სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობა (2019-2023)						
	2019	2020	2021	2022	2023	სულ
ფულადი ჯარიმები, მათ შორის:	2	1	2	6	-	11
2000 ლარი	2	1	2	4		9
6000 ლარი				2		2
სხვა სტატუსი, მათ შორის:	4	4	12	5	3	28
გაერთიანდა				2		2
სიტყვიერი შენიშვნა	4	3	3			10
შეწყდა		1	9	3	3	16
სულ	6	5	14	11	3	39
დაკისრებული ფულადი ჯარიმების რაოდენობა (ერთეული)	2	1	2	6	-	11
დაკისრებული ფულადი ჯარიმების მოცულობა (ლარი)	4 000	2 000	4 000	20 000	-	30 000

რაც შეეხება შიდა წყლების ლიცენზიანტებს, 2019-2023 წლებში დაფიქსირდა სალიცენზიო პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის 42 შემთხვევა (ცხრილი 24). მათ შორის, ყველაზე მეტი შემთხვევა დაკავშირებული იყო ანგარიშის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობასთან, ასევე, მართვის გეგმით გათვალისწინებული დათევზიანების შეუსრულებლობასა და თევზჭერის კვოტის დამტკიცების გარეშე რესურსის მოპოვებასთან.

ცხრილი 24. შიდა წყლის ლიცენზიანტების სამართალდარღვევები (2019-2023)

წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

შიდა წყლის ლიცენზიანტების სამართალდარღვევები (2019-2023)						
	2019	2020	2021	2022	2023	სულ
ანგარიშის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა		2		2		4
ანგარიშის წარმოუდგენლობა	1	1				2
ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის მოსაკრებელის გადაუხდელობა					1	1
თევზის მარაგის შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა				1		1
მართვის გეგმით გათვალისწინებული დათევზიანების შეუსრულებლობა	1			1	1	3
მოპოვებული რესურსის შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა				1	1	2
მოპოვებული რესურსის შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა; თევზის მარაგის შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა				1		1
რესურსის მოპოვება თევზჭერის კვოტის დამტკიცების გარეშე	3					3
სალიცენზიო პირობების დარღვევა (სხვა)	6	3	4	3	5	21
სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის განხორციელების პირობების დარღვევა	1	1				2
წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოუდგენლობა	1		1			2
სულ	13	7	5	9	8	42

ზემოაღნიშნულ დარღვევებზე პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმა განისაზღვრა, მათ შორის, ჯარიმებიც (ცხრილი 25). დაკისრებული პასუხისმგებლობების ფორმებს შორის უმეტეს ნაწილში (22 სულ 42-დან) ნათლად არ იკვეთება პასუხისმგებლობის ზომა და სახე ან მიუთითებს ზომის შერბილებაზე („გაერთიანდა“, „სიტყვიერი შენიშვნა“ და „შეწყდა“).

ცხრილი 25. შიდა წყლის ლიცენზიანტების სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობა (2019-2023)


წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

შიდა წყლის ლიცენზიანტების სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობა (2019-2023)						
	2019	2020	2021	2022	2023	სულ
ფულადი ჯარიმები, მათ შორის:	6	2	4	4	4	20
500 ლარი	1					1
2000 ლარი	5	2	2	4	4	17
6000 ლარი			2			2
სხვა სტატუსი, მათ შორის:	7	5	1	5	4	22

გაერთიანდა				1		1
სიტყვიერი შენიშვნა	5	1		3	4	13
შეწყდა	2	4	1	1		8
სულ	13	7	5	9	8	42
დაკისრებული ფულადი ჯარიმების რაოდენობა (ერთეული)	6	2	4	4	4	20
დაკისრებული ფულადი ჯარიმების მოცულობა (ლარი)	10 500	4 000	16 000	8 000	8 000	46 500


უკანონო თევზჭერის აღრიცხვა და კონტროლი

უკანონო თევზჭერის მიმართულებით ფაქტების გამოვლენა ხდება, ძირითადად, ორი უწყების მიერ: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (**გრაფიკი 17**) და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო (**გრაფიკი 18**). აღსანიშნავია, რომ ორივე ორგანიზაციის მიერ მოწოდებული მონაცემებით (სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, 2025), (სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, 2024), (სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2024), სამართალდარღვევის ფაქტები ბოლო პერიოდში გაზრდილია. თუმცა, გზდ-ის ინფორმაციით, ეს შეიძლება უკავშირდებოდეს უკანონო თევზჭერის ფაქტების გამოვლენის გაუმჯობესებას მათ მიერ; უკანონო თევზჭერის პრევენციის მიზნით, ბოლო წლებში გზდ აქტიურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მაგალითად, მდინარე რიონზე ფოტოხაფანგის გამოყენებით გამოვლინდა კოლხური ზუთხის უკანონოდ მოპოვების ფაქტი.



გრაფიკი 17. უკანონო თევზჭერა საქართველოში (გზდ-ის მიერ გამოვლენილი), 2013-2023 წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

უკანონო თევზჭერის შემთხვევები საქართველოში (დაცული ტერიტორიების სააგენტოს გამოვლენილი), 2010-2023



გრაფიკი 18. უკანონო თევზჭერის შემთხვევები საქართველოში (დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ გამოვლენილი), 2010-2023

წყარო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

გზდ-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „2017 წლიდან გზდ-ის აქტიური თანამშრომლობით, ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახურის მიერ შემუშავდა „თევზჭერის მართვისა და მონიტორინგის სისტემა“, რომელიც გახდა გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (EIMS) განუყოფელი ნაწილი და განთავსდა www.emoe.gov.ge¹⁵ მისამართზე. აღნიშნული სისტემის საფუძველზე შეიქმნა ელექტრონული მონიტორინგის სისტემა, რომელიც მოიცავს გემზე დამონტაჟებულ ურთიერთდაკავშირებულ ვიდეოკამერას/ვიდეოკამერებს, ქსელურ ვიდეოჩამწერსა და GSM-WiFi Router-ს, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ ჭერილის რეალურ დროში ვიდეოკონტროლს (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილება). ამავდროულად, თევზჭერის ლიცენზიანტს დაევალა ჭერილის რეალურ დროში კონტროლის მიზნით, გემზე დაამონტაჟოს ელექტრონული მონიტორინგის სისტემა და აწარმოოს ელექტრონული თევზჭერის ჟურნალი. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით განსაზღვრულია ელექტრონული მონიტორინგის სისტემის ტექნიკური მახასიათებლები და გამოყენების პირობები. აკრძალულია ვიდეოგადაღების გარეშე წყალში თევზსაჭერი სარეწაო ბადე-იარაღის ჩაგება ან წყლიდან მისი ამოღება. სამრეწველო თევზჭერის პროცესში გემზე დამონტაჟებული და შესაბამის სისტემაში ჩართული უნდა იყოს ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა (AIS). თუმცა, ჭერილის რეალურ დროში კონტროლის მიზნით, გემზე ელექტრონული მონიტორინგის სისტემის დამონტაჟების და ელექტრონული თევზჭერის ჟურნალის წარმოების ვალდებულება ამ ეტაპზე გააჩნიათ მხოლოდ თევზჭერის ლიცენზიის მფლობელებს. მნიშვნელოვანია, შავ ზღვაში თევზჭერის მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება და მათ შორის ელექტრონული სარეწაო ჟურნალის წარმოების ვალდებულება ასევე გავრცელდეს იმ ქართულ გემებზე, რომლებიც ე.წ.

¹⁵ აღნიშნული სისტემა (www.emoe.gov.ge) არის უწყებების შიდა სისტემა და გარე მომხმარებლისთვის არ არის ხელმისაწვდომი (ავტორის შენიშვნა).

12%-ით სარგებლობას ახორციელებენ. ამ ეტაპზე აღნიშნული გემები ჯერ კიდევ ქაღალდზე აწარმოებენ ანგარიშგებას. აღნიშნულ შემთხვევაში სრულად მოხდება შავ ზღვაში სარეწაო თევზჭერის კონტროლი რეალურ დროში“.


დამატებით, არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით გზდ-ის მიერ აღინიშნა, რომ „2020 წლიდან, ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე, IUU თევზჭერისა და მასთან დაკავშირებული ქმედებების წინააღმდეგ ეფექტიანი და გამჭვირვალე ზომების გამოყენების მიზნით, გზდ ახორციელებს უცხო ქვეყნის იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიულ ზღვასა და ღია ზღვაში თევზჭერაში ჩართული ქართული დროშის ქვეშ მცურავი გემების კონტროლს სატელიტური ელექტრონული მონიტორინგის სისტემის (VMS) გამოყენებით და ამ მიზნით 2020 წლის 1-ელი ივლისიდან გადაუდებელი შესყიდვით შეისყიდა 2-თვიანი მომსახურება (სატელიტური ელექტრონული მონიტორინგის სისტემასთან წვდომა და მის გამოყენებაზე ტრენინგების ჩატარება) ფრანგული კომპანიისაგან (CLS). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ მომზადდა შესაბამისი რეგულაციები, რომლებიც ასახულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით დამტკიცებულ „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტში“ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ამ ეტაპზე უცხო ქვეყნის ტერიტორიულ ზღვასა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, ასევე ღია ზღვაში თევზჭერასა და თევზჭერასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემები არ არის რეგისტრირებული“.

გზდ-ის მიერ ასევე აღინიშნა აკვაკულტურის ელექტრონული სისტემის შემუშავების მნიშვნელობასთან დაკავშირებით: „აკვაკულტურის შესახებ კანონის შესაბამისად, გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფა შიდა წყალსატევებში სამრეწველო თევზჭერის თვითმონიტორინგისა და თვითანგარიშგების ელექტრონული სისტემის დანერგვის გარეშე გართულებულია. ამ მიზნით ელექტრონული სისტემის შემუშავება და დანერგვა აქტუალურია როგორც გზდ-ის, ისე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის და სხვა დაინტერესებული უწყებებისთვის; ასევე მნიშვნელოვანია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება აკვაკულტურის ობიექტების ინსპექტირების კუთხით, როგორც ექსტენსიური აკვაკულტურის ასევე სატბორე მეურნეობების ინსპექტირების საკითხებზე“.

გზდ-ის მიერ აღრიცხული უკანონო თევზჭერის ფაქტები ინფორმაციას გვაწვდის არა მხოლოდ შავ ზღვასა და წყალსატევებში, არამედ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შიდა წყლებში უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის შესახებ (გრაფიკი 19) (გრაფიკი 20). აღსანიშნავია, რომ 2015-2024 წლებში უკანონო თევზჭერის ფაქტების დიდი რაოდენობით, ძირითადად, გამოირჩეოდა მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, კახეთისა და იმერეთის რეგიონები (წლიურად ქვეყნის ფარგლებში აღრიცხული უკანონო თევზჭერის შემთხვევების სრული რაოდენობის საშუალოდ 12%, 14%, 11% და 20%, შესაბამისად, ამ რეგიონებს ეკუთვნოდა) (გრაფიკი 19). განხილული 12-წლიანი პერიოდის (2013-2024) დასაწყისში საკმაოდ მაღალი იყო თბილისში აღრიცხული უკანონო თევზჭერის ფაქტები (2013 წელს აქ დაფიქსირდა უკანონო თევზჭერის 174 ფაქტი, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით აღრიცხული უკანონო თევზჭერის შემთხვევების 61%-ს შეადგენდა). თუმცა, დროთა განმავლობაში თბილისში აღრიცხული უკანონო თევზჭერის ფაქტები შემცირდა როგორც აბსოლუტურ, ასევე შეფარდებით მაჩვენებლებში (2024 წელს მხოლოდ 15 შემთხვევა დაფიქსირდა თბილისში, რაც მთელი

დაახლოებით იგივე სურათი გვაქვს, თუ განვიხილავთ უკანონო თევზჭერის ფაქტებს უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობის (კგ) მიხედვით (გრაფიკი 20). აღსანიშნავია, რომ 2015-2024 წლებში უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობის (კგ) დიდი რაოდენობით, ძირითადად, გამოირჩეოდა ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონები (წლიურად ქვეყნის ფარგლებში აღრიცხული უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობის საშუალოდ 41% და 13%, შესაბამისად, ამ რეგიონებს ეკუთვნოდა) (გრაფიკი 20). განხილული 12-წლიანი პერიოდის (2013-2024) დასაწყისში საკმაოდ მაღალი იყო თბილისში აღრიცხული უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობაც (2013 წელსა და 2014 წელს აქ დაფიქსირდა 161კგ და 432კგ უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსი, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით აღრიცხული უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობის 36%-სა და 45%-ს შეადგენდა, შესაბამისად). თუმცა, დროთა განმავლობაში თბილისში აღრიცხული უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობაც შემცირდა როგორც აბსოლუტურ, ასევე შეფარდებით მაჩვენებლებში (მაგალითად, 2024 წელს დაფიქსირდა 2კგ უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსი თბილისში, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით აღრიცხული უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის 0.3% იყო) (გრაფიკი 20). აღსანიშნავია ისიც, რომ რიგ რეგიონებში, პირიქით, იზრდებოდა უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობა განხილულ 12-წლიან პერიოდში (2013-2024) აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებში. მაგალითად, 2013 წელს მცხეთა-მთიანეთში დაფიქსირდა უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსი 9კგ-ის ოდენობით, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით აღრიცხული უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის 2%-ს შეადგენდა, ხოლო 2023 წელს აქ დაფიქსირდა 104კგ-ის ოდენობის უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსი, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით აღრიცხული უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის 13%-მდე იყო (გრაფიკი 20). გარდა ამისა, 2013 წელს კახეთში დაფიქსირდა უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსი 10კგ-ის ოდენობით, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით აღრიცხული უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის 2%-ს მცირედ აღემატებოდა, ხოლო 2023 წელს აქ დაფიქსირდა 202კგ-ის ოდენობის უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსი, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით აღრიცხული უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის დაახლოებით 25% იყო (გრაფიკი 20). ასევე, 2013 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთში დაფიქსირდა უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსი 7კგ-ის ოდენობით, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით აღრიცხული უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის დაახლოებით 2%-მდე შეადგენდა, ხოლო 2023 წელს აქ დაფიქსირდა 120კგ-ის ოდენობის უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსი, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით აღრიცხული უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის დაახლოებით 15%-მდე იყო (გრაფიკი 20). აქვე, ცალკე აღსანიშნავია, რომ განხილულ 12-წლიან პერიოდში (2013-2024) შავ ზღვაზე უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობა საშუალოდ წლიურად 27კგ-ს შეადგენდა, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით აღრიცხული უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის დაახლოებით 4%-მდე იყო. თუმცა, 2020 წლიდან აღნიშნულმა მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად იკლო და შავ ზღვაზე უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსი ქვეყნის მასშტაბით აღრიცხული უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის 0.4%-ს შეადგენდა 2020-2024 წლებში საშუალოდ წლიურად (გრაფიკი 20).

უკანონოდ მოპოვებული თევზი (კგ) საქართველოში რეგიონების მიხედვით (2013-2024)



გრაფიკი 20. უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობა (კგ) საქართველოში რეგიონების მიხედვით (გზდ-ის მიერ გამოვლენილი), 2013-2024

წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

უკანონო თევზჭერის სტატისტიკაში საინტერესოა ასევე უშუალოდ თევზის სახეობების შესახებ ინფორმაცია. განხილულ 12-წლიან პერიოდში (2013-2024) უკანონოდ მოპოვებული თევზის სახეობების რაოდენობა მთლიანად საქართველოში საშუალოდ წლიურად 19-ს შეადგენდა (ყველაზე დიდი მაჩვენებელი (26 სახეობის თევზი) დაფიქსირდა 2017 წელს, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებელი (14 სახეობის თევზი) დაფიქსირდა 2022 წელს). მონაცემები 2020-2024 წლებში მთლიანად საქართველოში უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის შესახებ შესაბამისი თევზის სახეობების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილი 26-ში.

ცხრილი 26. საქართველოში უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობა და შესაბამისი თევზის სახეობები (გზდ-ის მიერ გამოვლენილი), 2020-2024

წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი


საქართველოში უკანონოდ მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობა (კგ) და შესაბამისი თევზის სახეობები, 2020-2024					
	2020	2021	2022	2023	2024
ნაფოტა	21.40	2.43	0.80	34.15	9.56

მცირე ვიზა		2.50	2.00		
ხრამული	86.96	153.91	125.89	426.88	299.78
დორჯო		30.00		3.80	
კობრი	5.48	1.10		2.80	
შამაია	0.30	26.40	10.50	25.38	6.55
კალმახი	2.50	3.69	33.00	2.80	
ჭანარი		1.00	3.70	74.48	24.70
მურწა	1.24	3.52		2.63	1.10
წვერა	7.10		0.90	1.55	0.20
ქაშაპი	12.77	0.96	5.40	8.38	11.43
თეთრი ამური		1.72	1.00		1.70
ქორჭილა				3.63	
კარზხანა (კარასი)	10.30	15.73	106.96	32.36	8.48
ლოქო	3.50	8.00	2.00	5.90	
ორაგული		8.00			
ციმორი			0.50		
ქაშაყი	0.65	0.05			
ქარიყლაპია	2.28			0.15	
ტობი	65.08	9.25	24.41	13.09	19.80
სქელშუბლა	10.00	3.00			6.30
კეფალი	5.81	1.00	31.60	110.18	26.85
მერლანგი		0.20			
ზუთხისებრნი					8.50
ხონთქარა		0.70			1.00
მდინარის კიბო	16.00			1.50	0.50
თევზი სხვადასხვა ჯიშის	65.70	49.41	41.23	69.52	94.21
სულ, საქართველოში უკანონოდ მოპოვებული თევზი (კგ)	317	323	390	819	521
საქართველოში უკანონოდ მოპოვებული თევზის სახეობების რაოდენობა	16	20	14	17	15

უკანონო თევზჭერის შესახებ მონაცემების გაანალიზება საინტერესოა ასევე უშუალოდ სამართალდარღვევის სახეების მიხედვით (**გრაფიკი 21**). განხილულ 12-წლიან პერიოდში (2013-2024) ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებული უკანონო თევზჭერის მთლიანი შემთხვევების რაოდენობის დაახლოებით 29%-ს შეადგენდა კატეგორია „უკანონო თევზჭერა (სისხლის სამართალი)“, საშუალოდ 28%-ს კი შეადგენდა კატეგორია „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა“. ამავე პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებული უკანონო თევზჭერის მთლიანი შემთხვევების რაოდენობის დაახლოებით 23%-ს საშუალოდ წლიურად შეადგენდა კატეგორია „სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის იარაღისა და ხერხების გამოყენებით თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა“. აღსანიშნავია, რომ გზდ-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2018 წლიდან იკვეთება უკანონო თევზჭერის ისეთი შემთხვევების ზრდა, სადაც „სამართალდამრღვევი უცნობია“. კერძოდ, კატეგორიაში „თევზჭერის წესების დარღვევა (სამართალდამრღვევი უცნობია)“ 2018 წელს დაფიქსირდა 2

შემთხვევა, რაც ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებული უკანონო თევზჭერის მთლიანი შემთხვევების რაოდენობის დაახლოებით 1%-მდე იყო. აღნიშნული კატეგორიის შემთხვევები შემდგომ წლებში რადიკალურად იზრდებოდა როგორც აბსოლუტურ, ასევე შეფარდებით მაჩვენებლებში. 2023 წელს თევზჭერის წესების დარღვევის 194 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა, სადაც სამართალდამრღვევი უცნობი იყო და მან ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებული უკანონო თევზჭერის მთლიანი შემთხვევების რაოდენობის დაახლოებით 25%-მდე მიაღწია; 2024 წელს კი ეს მაჩვენებლები 99 შემთხვევას და 15%-ს შეადგენდა, შესაბამისად.

უკანონო თევზჭერის შემთხვევები საქართველოში სამართალდარღვევის სახის მიხედვით (2013-2024)




გრაფიკი 21. უკანონო თევზჭერის შემთხვევები საქართველოში დარღვევის სახის მიხედვით (გზდ-ის მიერ გამოვლენილი), 2013-2024

წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

თევზის რესურსების დაცვასთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ ერთი ინდიკატორი, რომელიც შავი ზღვის დაბინძურების შემთხვევებს აღწერს (**გრაფიკი 22**).

შავი ზღვის დაბინძურების შემთხვევები საქართველოში, 2006-2023



გრაფიკი 22. შავი ზღვის დაბინძურების შემთხვევები საქართველოში, 2006-2023

წყარო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი


შავ ზღვაში დაბინძურების გამომწვევ ძირითად ფაქტორებს შორის არის ნავთობი და ნავთობპროდუქტები და სხვადასხვა ტიპის ნარჩენები - საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, ინდუსტრიული თუ სხვა სახის ტოქსიკური ნარჩენები (გაზეთი "ბათუმელები", 2015). კვლევებში აჩვენებს, რომ შავი ზღვის წყალი დაბინძურებულია ფარმაცოლოგიური ნივთიერებებით, ქიმიკატებითა და პესტიციდებით (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2021). თევზჭერის უკანონო ფაქტების მსგავსად, შავი ზღვის დაბინძურების შემთხვევების რაოდენობა ბოლო პერიოდში (2022-2023 წლები) რადიკალურად გაზრდილია. დაბინძურებაში ყველაზე დიდ წილს იკავებს სამეურნეო-ფეკალური წყლებით ზღვის დაბინძურების რაოდენობა, შემდგომ კი ნავთობშემცველი წყლებით ზღვის დაბინძურების და ნავთობპროდუქტებით ზღვის დაბინძურების შემთხვევები.

ბიომრავალფეროვნება და თევზის სახეობების დაცვის სტატუსი

[საქართველოს მთავრობის 190-ე დადგენილების მიხედვით საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ](#) (2014), საქართველოს წითელ ნუსხაში არის სულ 15 სახეობის თევზი ("საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა"), მათ შორის, 6 მათგანი ეკუთვნის ხრტილოვან თევზებს, 5 - ძვლოვან თევზებს და 4 წარმოადგენს ძვლოვანი თევზების ქვესახეობებს; დამატებით, აღნიშნულ ნუსხაში არის კიბოსნაირების 2 სახეობა და მოლუსკების 1 სახეობა.

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელი ნუსხის სტატისტიკის მიხედვით (IUCN, 2024)¹⁶, საქართველოში ფიქსირდება სულ 132 "საფრთხის წინაშე მყოფი" სახეობა (threatened species), რომლებიც მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: CR - კრიტიკულად საფრთხის ქვეშ მყოფი (Critically Endangered); EN – გადაშენების პირას მყოფი (Endangered); VU – დაუცველი (Vulnerable). საქართველოში "საფრთხის წინაშე მყოფი" სახეობებს შორის არის როგორც ცხოველების, ასევე მცენარეებისა და სოკოების სახეობები. IUCN-ის მონაცემებით (IUCN, 2024), საქართველოში საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებს შორის, თევზების რაოდენობა არის 13 და მოლუსკების - 4 (გრაფიკი 23).

"საფრთხის წინაშე მყოფი" სახეობების განაწილება ძირითად ტაქსონომიურ ჯგუფში
სულ 132 "საფრთხის წინაშე მყოფი" სახეობა
"საფრთხის წინაშე მყოფი" სახეობები = CR+EN+VU



გრაფიკი 23. "საფრთხის წინაშე მყოფი" სახეობების განაწილება ძირითად ტაქსონომიურ ჯგუფში
წყარო: ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN)

შავ ზღვაში ეკოსისტემის რღვევის გამოშწვევ ერთ-ერთ ძლიერ ფაქტორად მიიჩნევა ჭარბჭერა (გაზეთი "ბათუმელები", 2015). შეფასებულია, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით, საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში შემცირებულია თევზის ბიომრავალფეროვნება როგორც სახეობრივი, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით. 1980-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში დაკვირვების ქვეშ არსებული თევზის სახეობების რაოდენობა 104-ს შეადგენდა. 21-ე საუკუნის დასაწყისში მათი რიცხვი 69-მდე შემცირდა (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022).

დღეისათვის საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილია შავ ზღვაში გავრცელებული დელფინების 3 სახეობიდან 2 სახეობა (ზღვის ღორი (*Phocoena phocoena*) და აფალინა (*Tursiops truncatus*), შავ ზღვაში გავრცელებული ზუთხისნაირების ექვსივე სახეობა (სვია (*Huso huso*), ფორონჯი (*Acipenser sturio*), ფორეჯი (*Acipenser nudiiventis*), ტარადანა (*Asipencer stellatus*), რუსული ზუთხი (*Acipenser gueldenstaedti*), სპარსული ზუთხი (*Acipenser percicus*)). მათ შორის ფორონჯი (ანუ ატლანტური ზუთხი), როგორც გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (Critically endangered) სახეობა, ხოლო დანარჩენები, როგორც გადაშენების საფრთხის

¹⁶ IUCN Red List version 2023-1. Number of threatened species in each major taxonomic group by country (As of April, 2024).
<https://www.iucnredlist.org/statistics>

წინაშე მყოფი (Endangered) სახეობები, ასევე ძვლოვანი თევზების 5 სახეობა (მდინარის/ტბის კალმახი (*Salmo fario*), მორეის ნაფოტა (*Rutilus frisii*), კოლხური ხრამული (*Varicorhinus sieboldi*), წინაზიური გველანა (*Sabanejewia aurata*), მეჭვიშია ღორჯო (*Neogobius fluviatilis*) და 4 ქვესახეობა (პალიასტომის ქაშაყი (*Alosa caspia paleostomi*), შავი ზღვის ორაგული (*Salmo fario labrax*), წითელტუჩა ჭერები (*Aspius aspius taeniatus*), ალაზნის გველანა (*Nemachilus angorae alasanicus*).

დღეისათვის შავ ზღვაში ადამიანის მიერ გამოწვეული ვეშაპისნაირთა სიკვდილიანობის მიზეზებიდან თანჭერა პირველ ადგილზეა. ეს ეხება შავი ზღვის მთელ აუზს. ყველაზე დიდი რაოდენობით თანჭერის მსხვეპლი ხდება ზღვის ღორები, რომლებიც ყველაზე ხშირად იხლართებიან კამბალასთვის განკუთვნილ ფსკერულ ბადეებში. საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ზღვის ძუძუმწოვრების მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში ნანახი იქნა ფსკერულ ბადეში გახლართული თეთრგვერდებიც.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „2017 წელს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მიმდინარეობდა ზღვის ძუძუმწოვრების ნაპირზე გამორიყვების მონიტორინგი, სავსე გასვლა და ადგილზე გამორიყვითელი ეგზემპლარის ობსერვაცია, რის შედეგადაც საანგარიშო პერიოდში სულ დაფიქსირდა ზღვის ძუძუმწოვრების ნაპირზე გამორიყვის 98 შემთხვევა“ (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, 2017). მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ სხვა პერიოდში სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ანგარიშებში არ იკითხება ზღვის ძუძუმწოვრების ნაპირზე გამორიყვის შემთხვევების შესახებ.

ძალიან მწირია ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ვეშაპისნაირთა თანჭერილის შესახებ¹⁷. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა შავ ზღვაში თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგისა და კონტროლის სისტემა, ფაქტობრივად ვერ ხდება ვეშაპისნაირთა თანჭერილის აღრიცხვა.

შავი ზღვის რეგიონში ვეშაპისნაირთა პოპულაციებს თანჭერის გარდა თევზჭერა სხვა მნიშვნელოვან პრობლემებსაც უქმნის, როგორცაა საკვები ბაზის, კვებითი სტრატეგიების და სხვა ქცევითი მოდელების ცვლილება, ჰაბიტატების ხარისხის გაუარესება, სივრცული განაწილების და მიგრაციის შეცვლა. აღნიშნული საკითხები მთელი შავი ზღვის მასშტაბით სუსტად არის შესწავლილი, მათ შორის საქართველოს ტერიტორიულ წყლებში. ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ხარვეზები არსებობს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ვეშაპისნაირთა პოპულაციების რიცხოვნების ტენდენციების შესწავლის და პოპულაციების მდგომარეობის რეალური სურათის მისაღებად. თუმცა, აღსანიშნავია ამ კუთხით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კვლევები, რომელთა საფუძველზეც მომზადდა შავი ზღვის ვეშაპისნაირთა კონსერვაციის გეგმა. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მთელ რიგ ქმედებებს და რეკომენდაციებს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მცირე ვეშაპისნაირთა პოპულაციების შენარჩუნების ხელშეწყობისათვის.

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელი ნუსხის მიხედვით, საქართველოში გავრცელებული ზუთხისებრთა ყველა სახეობა გლობალურად გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე იმყოფება. განხორციელებული კვლევების მიხედვით, ზუთხისებრთა

¹⁷ შავი ზღვის ვეშაპისნაირთა კონსერვაციის გეგმა, 2016-2021, საქართველოს ტერიტორიული წყლებისთვის, 2015 (ავტორის შენიშვნა).

რიცხოვნობა საქართველოს წყლებში 1907-2007 წლების განმავლობაში 37-ჯერ შემცირდა. დღეისათვის, საქართველოში გავრცელებული ექვსივე სახეობის ზუთხების რაოდენობა 10 ათას ინდივიდს არ აღემატება.

ზუთხისებრთა რიცხოვნების კატასტროფულად შემცირების მიზეზებია წყალსაცავებისა და კაშხლების მშენებლობის გამო მდინარეთა რეგულირება, ჰაბიტატების ფრაგმენტაცია და სატოფო (საქვითო) ადგილების განადგურება, ბრაკონიერობა და ახალმოზარდული ინდივიდების თანჭერა.

1922 წელს ზუთხები ჯერ კიდევ მიგრირებდნენ საქართველოს 16 მდინარეში. 1957 წლისათვის კი ზუთხისებრთა ტოფობის ადგილები უკვე მკვეთრად იყო შემცირებული. წყალსაცავებისა და კაშხლების მშენებლობის გამო სრულიად შეწყდა ზუთხების შემოსვლა კასპიის ზღვიდან აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებში. დასავლეთ საქართველოში, ჩვენი საუკუნის დასაწყისში ზუთხები ჯერ კიდევ შედიოდნენ 6 მდინარეში, მათ შორის, რიონში, კოდორში, ჭოროხში, ხობში, ბზიფსა და ენგურში.

ამჟამად, შავი ზღვის აუზის მხოლოდ ორ მდინარეში - რიონსა და დუნაიში - მიმდინარეობს ზუთხისებრთა ბუნებრივ გარემოში გამრავლება. შავი ზღვის აუზის აღმოსავლეთ სანაპიროზე კი მდ. რიონი ერთადერთი და შეუცვლელი ადგილია ზუთხისებრთა ბუნებრივ პირობებში გასამრავლებლად. აღნიშნულის გამო მდ. რიონი მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ჰაბიტატია და მას გააჩნია განსაკუთრებული ეროვნული, რეგიონული და გლობალური მნიშვნელობა ზუთხისებრთა გადარჩენასა და მათი სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების აღდგენაში.

ზუთხისებრთა თევზების სახეობების ბუნებრივი სატოფო ადგილების დაცვისა და კონსერვაციის მიზნით 2022 წელს კოლხეთის ეროვნული პარკს მიუერთდა 475 ჰა ზღვის აკვატორია და 197 ჰა სახმელეთო ტერიტორია (მდ. რიონის) მონაკვეთი. თუმცა ჯერ კიდევ სრულად არ არის დაცული მდინარე რიონში შემორჩენილი ტოფობის ადგილები. ასევე, მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს ზუთხისებრთა თევზების საქვითო ადგილების შენარჩუნებასთან დაკავშირებით მდ. რიონში ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზიების გაცემის, ასევე, მდ. რიონზე არსებული ჰიდროელექტროსადგურების ფუნქციონირების გამო. კვლავ პრობლემურია ზუთხისებრთა თევზების არალეგალური ჭერის აღკვეთა.

საქართველოში ზუთხისებრთა კონსერვაცია არის ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ქვეშ, როგორიცაა „ბუნების მსოფლიო ფონდის“ (WWF) კავკასიის პროგრამული ოფისი, „საერთაშორისო ფლორა-ფაუნას“ (FFI) კავკასიის პროგრამული ოფისი. უკვე რამდენიმე წელია საერთაშორისო დონორების დახმარებით ხორციელდება ზუთხისებრთა თევზების შენარჩუნებისა და მონიტორინგის პროგრამები. 2018 წელს ბერნის კონვენციის ფარგლებში მიღებული იქნა „პან-ევროპული სამოქმედო გეგმა ზუთხისებრთა თევზებისთვის“¹⁸, რომლითაც განსაზღვრულია ზუთხისებრთა თევზების პოპულაციების შენარჩუნებისა და აღდგენის მიზნები და ქმედებები მათ მისაღწევად. საქართველოში ამ მხრივ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქვიშა-ხრეშით სარგებლობისა და ჰიდროენერგეტიკული პროექტების მარეგულირებელ კანონმდებლობაში ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, მათ შორის გადაშენების პირას მყოფი სახეობების

¹⁸ Pan-European Action Plan for Sturgeons, Convention of the Conservation of European Wildlife and Natural Habitats, Standing Committee, 38th meeting, Strasbourg, 27-30 November, 2018.

დაცვის საკითხების სუსტი ინტეგრირება, ასევე, თევზჭერის რეგულაციების აღსრულება. მიუხედავად იმისა, რომ არსებული რეგულაციებით ზუთხისებრთა თევზების დაცვის მიზნით განსაზღვრულია თევზჭერის მნიშვნელოვანი ტერიტორიული და დროითი შეზღუდვები, ვერ ხერხდება ზუთხისებრთა თევზებზე არალეგალური თევზჭერის ზეწოლის სრულად აღკვეთა. დღეისათვის ზუთხისებრთა თევზებისთვის მნიშვნელოვან საფრთხეებად განიხილება როგორც არალეგალური თევზჭერა, ასევე თანჭერა. შესაბამისად, ზუთხისებრთა კონსერვაციის პან-ევროპული გეგმით რეკომენდირებულია მთელი რიგი ღონისძიებები ზუთხისებრთა თევზებზე თევზჭერის ზეგავლენის შემცირებისთვის, მათ შორის: კანონდარდების გაძლიერება არალეგალური, არარეგულირებადი და არადოკუმენტირებული თევზჭერის პრევენციისათვის ზღვასა და შიდა წყალსატევებში; მეთევზეების ჩართულობით ალტერნატიული საარსებო წყაროების განვითარება; ზღვასა და შიდა წყლებში თანჭერილის შემცირების მიზნით მართვის ღონისძიებების (თევზჭერის შეზღუდვა, დახურული სეზონებისა და ადგილების განსაზღვრა) განხორციელება და ბადე-იარაღების მოდიფიკაცია. 2022-206 წლებისათვის საქართველოს გარემოს დაცვის მეოთხე ეროვნული პროგრამითაც ერთ-ერთ ამოცანად დასახულია საფრთხის წინაშე მყოფი ზუთხისებრთა კონსერვაციის ხელშეწყობა და ამ მიზნით მონიტორინგის პროგრამის შემუშავება ზუთხისებრთა სულ მცირე 3 სახეობაზე მონაცემებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და ზუთხისებრთა კონსერვაციისთვის რეკომენდაციების მოსამზადებლად.

უცხო ინვაზიური სახეობების გავრცელება

შავი ზღვისა და მტკნარი წყლების ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნებისათვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს საფრთხედ განიხილება ინვაზიური სახეობების გავრცელება, რომლებიც იწვევენ კვებითი ჯაჭვის დარღვევებს და მნიშვნელოვნად ამცირებენ ადგილობრივი სახეობების საკვებ ბაზას. აღნიშნული პირდაპირი კონკურენციის შედეგად მცირდება ადგილობრივი სახეობების პოპულაციების რიცხოვნობა და ბიომრავალფეროვნება. აღნიშნული კი ახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას როგორც სამრეწველო, ასევე რეკრეაციულ თევზჭერაზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევაა ინვაზიური სახეობების გავრცელებისა და ზეგავლენის შესახებ მონაცემებისა და ცოდნის სიმცირე, რომლის საფუძველზე უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი სტრატეგია და მართვის ღონისძიებები. საქართველოში უცხო ინვაზიური სახეობების მონიტორინგი არ ხორციელდება (გარდა მოლუსკი რაპანასი, რომელიც არის კომერციული მოპოვების ობიექტი). შესაბამისად, შეუძლებელია არსებული ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასება და კარგი ხარისხობრივი მდგომარეობის განსაზღვრა უცხო სახეობებთან დაკავშირებული კრიტერიუმების მიხედვით, რაც საჭიროა შავი ზღვის ეროვნული საზღვაო სტრატეგიის შემუშავებისთვის (NEAP 4).

შავ ზღვაში დღეისათვის 40-ზე მეტი ინვაზიური სახეობაა გავრცელებული, მათგან საქართველოს სანაპირო წყლებში გვხვდება: სავარცხლურა (*Mnemiopsis leidyi*), მოლუსკი რაპანა (*Rapana venosa*), სავარცხლურა (*Beroe ovata*), წყნარი ოკეანის კევალი (*Mugil soiuy*), მოლუსკი ანადარა (*Anadara inaequalis*), ზღვის რკო (*Balanus improvisus*) (NEAP 4).

შავი ზღვაში მოლუსკი რაპანას (*Rapana Venosa*) პოპულაცია მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია ადგილობრივი ბენთოსისთვის (მაგ. ორსაგდულიანებისათვის, განსაკუთრებით ზამანწკები *Ostrea edulis*, *Pecten ponticus* და შავი ზღვის მიდიები *Mytilus galloprovincialis*). ორსაგდულიანები წყლის ფილტრატორები არიან და მათი შემცირება წყლის ხარისხის

გაუარესებასა და ფსკერული თევზების, მათ შორის, იშვიათი სახეობების (მაგ. ზუთხების) საკვები ბაზის შემცირებას იწვევს (NBSAP, 2014-2020).

უარყოფითი გავლენის მიხედვით განსაკუთრებით აღსანიშნავია სავარცხლურა, რომელიც შავ ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში პირველად აღმოჩენილი იქნა 1982 წელს, სადაც ის სავარაუდოდ გავრცელდა ჩრდილოეთ ამერიკის სანაპირო ტერიტორიიდან შემომავალი ბალასტური წყლებიდან. სავარცხლურა იკვებება თევზების ლავრებით, ქვირითით და მათი ძირითადი საკვებით - ზოოპლანქტონით. მისი გამოჩენის შემდეგ აღინიშნა ზოოპლანქტონის მკვეთრი შემცირება, რასაც მოყვა პლანქტონით მკვებავი თევზის ამარებისა და დელფინების შემცირება (NEAP 4).

საქართველოს შიდა წყლების ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნებაზე ასევე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია თევზის არაადგილობრივმა სახეობებმა, რომლებიც ინტროდუცირებული იქნენ წლების განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა სამხრეთ კავკასიის შიდა წყალსატევებში თევზის არაადგილობრივი სახეობების გავრცელებისა და მათთან დაკავშირებული რისკების შეფასების მიზნით. მათგან აღსანიშნავია, არაადგილობრივი თევზის სახეობების პირველი უნიფიცირებული ინვენტარიზაცია¹⁹, რომლის ფარგლებში აღწერილი იქნა სამხრეთ კავკასიის მტკნარი წყლების ეკოსისტემებში გავრცელებული თევზის 27 არაადგილობრივი სახეობა. მათგან დასავლეთ საქართველოს შიდა წყლების ეკოსისტემებში აღწერილია არაადგილობრივი თევზის 8 სახეობა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - 16 სახეობა. აღნიშნული სახეობებიდან 4 სახეობა (*G. artvinicus*, *P. fluviatilis*, *Salmo gegarkuni* და *Syngnathus abaster*) არის ტრანსლოცირებული (შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზებს შორის), ხოლო ერთი სახეობა (*Oreochromis niloticus*) არ გადარჩა ბუნებრივ გარემოში. არაადგილობრივ სახეობების ინტროდუცირება ძირითადად მოხდა აკვაკულტურის მიზნებისათვის. 27 არაადგილობრივი ინტროდუცირებული სახეობიდან 15 სახეობა გავრცელდა, ხოლო 12 სახეობა დამოკიდებულია ადამიანის საქმიანობაზე.

სამხრეთ კავკასიის მტკნარი წყლების ეკოსისტემებისთვის არაადგილობრივი თევზის სახეობების ინვაზიურობის რისკის შეფასების თანახმად²⁰, ინვაზიურ სახეობებს შორის განსაკუთრებით მაღალი რისკები დაკავშირებულია ინტროდუცირებული თევზების შემდეგ სახეობებთან: *Carassius gibelio*, *Pseudorasbora parva*, *Sander lucioperca*, *Clarias gariepinus*. ამავე კვლევის თანახმად, კლიმატის პროგნოზირებული ცვლილებების პირობებში, განსაკუთრებული რისკის მქონე ინვაზიური თევზების სახეობების რაოდენობა გაიზარდება 12 სახეობამდე²¹. შიდა წყალსატევებში გავრცელებული ინვაზიური სახეობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კარჩხანა, რომელმაც, სავარაუდოდ მნიშვნელოვანი ზეგავლენა

¹⁹ The first unified inventory of non-native fishes of the South Caucasian countries, Armenia, Azerbaijan, and Georgia. Tatia Kuljanishvili, Levan Mumladze, Bella Japoshvili, Namig Mustafayev, Shaig Ibrahimov, Jirí Patoka, Samvel Pipoyan and Lukáš Kalous. Knowl. Manag. Aquat. Ecosyst., 422 (2021) 32
DOI: <https://doi.org/10.1051/kmae/2021028>

²⁰ Levan Mumladze, Tatia Kuljanishvili, Bella Japoshvili, Giorgi Epitashvili, Lukáš Kalous, Lorenzo Vilizzi, Marina Piria, NeoBiota 76:109-133, <https://doi.org/10.3897/neobiota.76.82776> (03 Oct 2022).

²¹ სულ კვლევის ფარგლებში განხორციელდა 32 არა-ადგილობრივი თევზის სახეობების ინვაზიურობის რისკის სკრინინგი.


იქონია იქტიოფაუნის მრავალფეროვნებაზე. კარჩხანა გავრცელებულია თითქმის ყველა შიდა წყალსატევში.

ბოლო წლებში საქართველოს შიდა წყლებში თევზის ინვაზიური სახეობების გავრცელების მიზნით განხორციელებული კვლევების შედეგად გამოვლინდა თევზის ახალი ინვაზიური სახეობა - *Hemiculter leuciscus* აღმოსავლეთ საქართველოს შიდა წყლებში²². გარდა ამისა, დოკუმენტირებული იქნა კიდევ ორი არაადგილობრივი სახეობის თევზის გავრცელების მნიშვნელოვანი გაფართოება, მათ შორის დასავლეთ საქართველოს შიდა წყლებში *Rhinogobius lindbergi*-ის გავრცელება (ადრე ეს სახეობა გვხვდებოდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს შიდა წყლებში პირველად იქნა ნანახი *Gambusia holbrooki*. ივარაუდება, რომ აღნიშნული სახეობების არეალის სწრაფი გაფართოება გამოიწვევს ადგილობრივი და ენდემური სახეობების პოპულაციების შემცირებას. აღნიშნული სახის რისკები გათვალისწინებული უნდა იქნეს აკვაკულტურის საქმიანობების განვითარების პროცესში, განსაკუთრებით აკვაკულტურაში ახალი სახეობების დანერგვისას. აკვაკულტურა განიხილება, როგორც ინვაზიური სახეობების ინტროდუქციის უმთავრესი ვექტორი.

სურსათის უვნებლობა და ვეტერინარიის საკითხები მეთევზეობის სექტორში

თევზის პროდუქტების სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარულ კონტროლს ახორციელებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო. სააგენტოს ინფორმაციის მიხედვით (სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, 2024), თევზში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ 2019-2023 წლების პერიოდში დარღვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია (გრაფიკი 24).

თევზში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევის შედეგები, 2019-2023



გრაფიკი 24. თევზში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევის შედეგები, 2019-2023

წყარო: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

დამატებით, თევზის დაავადებების კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ 2019-2023 წლების პერიოდში ასევე შემცირებულია თევზის დაავადებების შემთხვევები (ცხრილი 27).

²² Eptashvili G, Japoshvili B, Mumladze L (2023) New records and range expansions of invasive fish species in Georgia. *BioInvasions Records* 12(4): 1111–1120, <https://doi.org/10.3391/bir.2023.12.4.23>

ცხრილი 27. თევზის დაავადებების კვლევის შედეგები, 2019-2023

წყარო: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

თევზის დაავადებების კვლევის შედეგები, 2019-2023										
	2019		2020		2021		2022		2023	
	გამოკვლეული	დადებითი	გამოკვლეული	დადებითი	გამოკვლეული	დადებითი	გამოკვლეული	დადებითი	გამოკვლეული	დადებითი
თევზის აერომონოზი	4	1	5	0	1	0	3	1	3	0
თევზის პარაზიტ. დაავადებები - პროტოზოები & ჰელმინთები	4	0	7	0	1	0	4	0	5	0
თევზის პარაზიტ. დაავადებები - არაქნოზები	4	1	6	0	1	0	4	0	5	0
თევზის ვიბრიოზი	0	0	0	0	0	0	5	0	7	0
თევზის ფსევდომონოზი	0	0	0	0	0	0	5	0	6	0
ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემია VHS									4	0
სისხლმზადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზი IHN									4	1
სულ	12	2	18	0	3	0	21	1	34	1

სურსათის სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ინსპექტირებულ ობიექტებში, ძირითადად, არაკრიტიკული შეუსაბამოები ფიქსირდება და რამდენიმე ერთეული შემთხვევა ფიქსირდება კრიტიკული შეუსაბამობით განხილულ პერიოდში (ცხრილი 28).

ცხრილი 28. თევზის საწარმოების ინსპექტირების შედეგები, 2019-2023

წყარო: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

თევზის საწარმოების ინსპექტირების შედეგები, 2019-2023					
	2019	2020	2021	2022	2023
ინსპექტირების ობიექტების რაოდენობა	79	41	34	51	71
იმ ობიექტების რაოდენობა, სადაც აღმოჩნდა არაკრიტიკული შეუსაბამოები	65	34	31	38	65
იმ ობიექტების რაოდენობა, სადაც აღმოჩნდა კრიტიკული შეუსაბამოები	8	5	2	6	2
იმ ობიექტების რაოდენობა, ვისაც შეუჩერდა საქმიანობა	2	1	-		
იმ ობიექტების რაოდენობა, ვისაც დაუწესდა ჯარიმა	27	14	10	14	13
დაწესებული ჯარიმების ჯამური მოცულობა (ლარი)	15 300	7 700	6 300	16 800	5 700
დაწესებული ჯარიმის საშუალო ოდენობა (ლარი)	567	550	630	1 200	438

2020-2023 წლებში სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯარიმებული ობიექტების რაოდენობა წლიურად 10-15-ის ფარგლებში იყო საშუალოდ, ხოლო ჯარიმის მოცულობა საშუალოდ ერთი ობიექტის მიმართ 500-600 ლარის ფარგლებში ფიქსირდება.

გამოყენებული წყაროები

- "საქსტატი". (2012-2023). *ბიზნეს რეგისტრი*. მოპოვებული 2024 წლის აპრილი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ("საქსტატი"):
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri-დან>
- "საქსტატი". (2015-2023). *საქონლით საგარეო ვაჭრობა (იმპორტი, ექსპორტი, ადგილობრივი ექსპორტი)*. მოპოვებული 2024 წლის აპრილი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ("საქსტატი"):
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/765/sakonlit-sagareo-vachroba-დან>
- "საქსტატი". (2016-2023). *მთლიანი შიდა პროდუქტი, მიმდინარე ფასებში*. მოპოვებული 2024 წლის აპრილი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ("საქსტატი"):
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp-დან>
- "საქსტატი". (2016-2023). *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით (NACE Rev.2)*. მოპოვებული 2024 წლის აპრილი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ("საქსტატი"):
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi-დან>
- "საქსტატი". (2017-2023). *აკვაკულტურა*. მოპოვებული 2024 წლის ნოემბერი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ("საქსტატი"):
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/759/akvakultura-დან>
- "საქსტატი". (2024). სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში თევზჭერასთან დაკავშირებით. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ("საქსტატი") წერილები: N4-302, 05/02/2024; N4-343, 08/02/2024; N6-497, 28/02/2024; N5-507, 29/02/2024*. მოპოვებული 2024
- European Union. (2017 წლის 20 June). EU opens door for import of Georgian Black Sea Fish products to EU Market. მოპოვებული 2024, https://www.eeas.europa.eu/node/28604_en-დან
- Food and Agriculture Organization of the United Nations. (2023). Fish and seafood consumption per capita - Georgia. *Our World in Data*. მოპოვებული 2024, <https://ourworldindata.org/grapher/fish-and-seafood-consumption-per-capita?tab=chart&time=earliest..latest&country=~GEO-დან>
- IUCN. (2024). *Number of threatened species in each major taxonomic group by country*. მოპოვებული 2024 წლის April, International Union for Conservation of Nature (IUCN): <https://www.iucnredlist.org/statistics-დან>
- Rao, P., & Wallach, O. (2023 წლის 13 July). Mapped: Meat Consumption By Country and Type. *VISUAL CAPITALIST*. მოპოვებული 2024, <https://www.visualcapitalist.com/cp/mapped-meat-consumption-by-country-and-type/-დან>

Remonté, P. (2023 წლის 17 November). Mapped: Ocean Fishing and Aquaculture Around the World. *VISUAL CAPITALIST*. მოპოვებული 2024, <https://www.visualcapitalist.com/cp/ocean-fishing-aquaculture-map/>-დან

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო. (2024). ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული სახელმწიფო პროექტები თევზჭერის მიმართულებით. ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს წერილი N9/1219, 18/04/2024. მოპოვებული 2024

ბიზნეს-მედია. (2022 წლის 1 ოქტომბერი). "ლაბორატორიების არარსებობი გამო, კალმახის პოპულაცია ნახევრდება" - საკალმახეს ხელმძღვანელი. მოპოვებული 2024, <https://bm.ge/news/quotlaboratoriebis-ararsebobi-gamo-kalmaxis-populacia-naxevrdebaquot--sakalmaxes-xelmdzgvaneli/117512>-დან

ბიზნეს-მედია. (2022 წლის 1 დეკემბერი). თევზის გადამმუშავებელი კომპანია "უმალი" გაიყიდა. მოპოვებული 2024, <https://bm.ge/news/tevzis-gadammushavebeli-kompania-quotumaliquot-gaiyida/121827>-დან

ბიზნეს-მედია. (2023 წლის 14 ივლისი). "წლების განმავლობაში დარგი უკონტროლო იყო" - ბიზნესი აკვაკულტურის სექტორში დადებით ცვლილებებს ელის. მოპოვებული 2024, <https://bm.ge/news/quotwlebis-ganmavlobashi-dargi-ukontrolo-iyuquot---biznesi-akvakulturis-sektorshi-dadebit-cvlibebs-elis/138722>-დან

ბიზნეს-მედია. (2023 წლის 7 ივნისი). "ფიშმარკეტში" თევზის 90% იმპორტირებულია - რატომ ვერ ვითარდება საქართველოში თევზის წარმოება? მოპოვებული 2024, <https://bm.ge/news/fishmarketshiquot-tevzis-90-importirebulia---ratom-ver-vitardeba-saqartveloshi-tevzis-warmoeba/135753>-დან

ბიზნეს-მედია. (2023 წლის 28 იანვარი). დაავადებების გამო, თევზის ფერმები იხურება, ქვეყანაში არ გვაქვს ლაბორატორია - "სოფოს კალმახი". მოპოვებული 2024, <https://bm.ge/news/daavadebebis-gamo-tevzis-fermebi-ixureba-qveyanashi-ar-gvaqvs-laboratoria---quotsofos-kalmaxiquot/125672>-დან

ბიზნეს-მედია. (2023 წლის 27 იანვარი). თევზზე გაზრდილ მოთხოვნას ადგილობრივი წარმოება ვერ პასუხობს - ბიზნესი. მოპოვებული 2024, <https://bm.ge/news/tevzze-gazrdil-motxovnas-adgilobrivi-warmoeba-ver-pasuxobs---biznesi/125666>-დან

ბიზნეს-მედია. (2023 წლის 29 მარტი). როგორ ვითარდება საქართველოში აკვაკულტურა? მოპოვებული 2024, <https://bm.ge/news/rogor-vitardeba-saqartveloshi-akvakultura/38765>-დან

ბიზნეს-მედია. (2024 წლის 8 აპრილი). „იმედია, 2026-2028 წლების პერიოდში, EU-ს ბაზარი აკვაკულტურაში წარმოებულ თევზსაც გაეხსნება - დიასამიძე. მოპოვებული 2024, <https://bm.ge/news/imedia-2026-2028-tslebis-periodshi-eu-s-bazari-akvakulturashi-tsarmoebul-tevzsats-gaekhsneba-diasamidze>-დან

ბიზნეს-მედია. (2024 წლის 9 მარტი). მიზანია, საქართველო მოვიცვათ - „უმალის“ დირექტორი. მოპოვებული 2024, <https://bm.ge/news/mizania-saqartvelo-movitsvat-umalis-direqtori-დან>

ბიზნესპარტნიორი. (2021 წლის 7 აპრილი). მიდიებისა და ხამანწკების წარმოების პერსპექტივა საქართველოში. მოპოვებული 2024

ბიზნესპარტნიორი. (2023 წლის 21 მარტი). ქვეყანას აკვაკულტურის ეროვნული სტრატეგია ექნება - დოკუმენტის სამუშაო ვერსია დასკვნით ეტაპზე. მოპოვებული 2024, <https://old.business-partner.ge/soflis-meurneoba/kveqanas-akvakulturis-erovnuli-strategia-ekneba-dokumentis-samushao-versia-daskvnit-etapzea-დან>

გაზეთი "ბათუმელები". (2015 წლის 7 ნოემბერი). შავი ზღვის ეკოლოგია და თევზის მეურნეობა საქართველოში. მოპოვებული 2024, <https://batumelebi.netgazeti.ge/news/22185/-დან>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2022). *2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა*. მოპოვებული 2024, <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047-დან>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2023 წლის 2 მარტი). ახალი ამბები: ნინო თანდილაშვილი „საქართველოს აკვაკულტურის განვითარების ეროვნული სტრატეგიის“ საჯარო დისკუსიას დაესწრო. მოპოვებული 2024, <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21195-დან>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2023 წლის 3 აპრილი). ახალი ამბები: საზღვაო აკვაკულტურის ფერმების მოსაწყობად, აჭარის, სამეგრელოს და გურიის სანაპირო ზოლში 8 ლოკაცია გამოიყო. მოპოვებული 2024, <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21217-დან>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2024 წლის 4 აპრილი). ევროკავშირმა საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ გაცემული თევზჭერის სერტიფიკატები ოფიციალურად აღიარა. მოპოვებული 2024, <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21644-დან>

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2017-2025). საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები და "საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი". მოპოვებული 2025 წლის იანვარი, <https://mof.ge/GovBudget-დან>

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. (2024). მეთევზეობის/აკვაკულტურის დარგიდან მიღებული ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები კატეგორიაში „მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის“. *საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის წერილი N 18/85705, 19 ნოემბერი 2024.*

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური. (2024). მეთევზეობის/აკვაკულტურის დარგიდან მიღებული ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები კატეგორიაში „მოსაკრებელი ზუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის“. *საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის წერილი N 21-11/88088, 28 ნოემბერი 2024.*

სახელმწიფო ხაზინა. (2005-2024). *საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები (კონსოლიდაციის გარეშე)*. მოპოვებული 2025 წლის იანვარი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა: <https://treasury.ge/ka/revenues>-დან

სახელმწიფო ხაზინა. (2019-2023). *საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები (კონსოლიდაციის გარეშე)*. მოპოვებული 2024, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა: <https://treasury.ge/ka/revenues>-დან

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. (2024). ინფორმაცია საქართველოს შავი ზღვის თევზჭერის ლიცენზიანტებისა და შიდა წყლების ლიცენზიანტების მიერ ლიცენზიების პირობების შესრულების შესახებ. *სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წერილი #DES 3 24 00065312, 24/10/2024.*

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. (2024). ინფორმაცია საქართველოში შავ ზღვასა და შიდა წყალსატევებში სამრეწველო თევზჭერის შესახებ. *სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანალიტიკური სამსახურის წერილი, 24/10/2024.* მოპოვებული 2024

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. (2024). სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში თევზჭერასთან დაკავშირებით. *სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (გზდ) წერილები: DES 2 24 00011572, 22/02/2024; DES 4 24 00016164, 11/03/2024.* მოპოვებული 2024

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. (2025). დაზუსტებული ინფორმაცია უკანონო თევზჭერასთან დაკავშირებით. *სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანალიტიკური სამსახურის წერილი, 23/01/2025.* მოპოვებული 2025

სსიპ "აწარმოე საქართველოში". (2024). სსიპ "აწარმოე საქართველოში" ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული სახელმწიფო პროექტები თევზჭერის მიმართულებით. *სსიპ "აწარმოე საქართველოში" ორგანიზაციის წერილი № EG-3.1/342, 17 / აპრილი / 2024 წ.* მოპოვებული 2024

სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია. (2024). ინფორმაცია სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის კურსებისა და კურსდამთავრებულების შესახებ. *სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წერილი №06.01/513, 07 მარტი 2024 წ.*

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. (2017). *განხორციელებული აქტივობების ანგარიში*. მოპოვებული 2024, <https://nea.gov.ge/Ge/Bill>-დან

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. (2024). სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში თევზჭერასთან დაკავშირებით. *სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილები: N21/1737, 21 თებერვალი 2024; N21/2689, 14 მარტი 2024; N21/3902, 17 აპრილი 2024; N21/4156, 23 აპრილი 2024. მოპოვებული 2024*

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო. (2024). სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში თევზჭერასთან დაკავშირებით. *სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს წერილი N460, 16 თებერვალი 2024. მოპოვებული 2024*

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო. (2024). ინფორმაცია პროფესიული კურსებისა და კურსდამთავრებულების შესახებ. *სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წერილი № 11/566, 27 მარტი 2024 წ.*

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო. (2024). თევზისა და თევზის პროდუქტების მწარმოებელი ბიზნესოპერატორების შემოწმების, ასევე თევზის დაავადებებისა და თევზის კვლევის შედეგები 2019-2023 წლებში. *სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს წერილი N09/2231, 13 მარტი 2024. მოპოვებული 2024*

სსიპ შემოსავლების სამსახური. (2024). სტატისტიკური ინფორმაცია გადამხდელთა რაოდენობისა და ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების შესახებ, რომელთაც საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 006-2016-ის მიხედვით, ძირითად საქმიანობის სფეროდ მითითებული სეკ კოდები 03, 10200, 46381, 47230. *სსიპ შემოსავლების სამსახურის წერილი N21-11/18208, 06 მარტი 2024. მოპოვებული 2024*

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი. (2023 წლის 18 დეკემბერი). *ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №14/37 ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. მოპოვებული 2024, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე:*
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6008648?publication=0>-დან

ხოზის მუნიციპალიტეტი. (2023 წლის 28 დეკემბერი). *ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №31 ხოზის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. მოპოვებული 2024, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე:*
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6049688?publication=0>-დან